CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 14 სექტემბერი, 2009 წელი. №198 (2236) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ობამას რეფორმების განსახორციელებლად რთული ბრძოლა მოელის
A7

ბუკერის მოლოდინში...
A9

სამბა ბრაზილიელებისთვის დინამოს შესრულებით
A16

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

წილთა შენახვის კანონი

ნოდარ ლადარია

ყველა კმაყოფილი დარჩა! — ერთი სიტყვა აღმოჩნდა საკმარისი და სახეებზე ბედნიერი ღიმილი აკიაფდა. ჯადოსნური სიტყვა კი თბილისის მერმა, გიგი უგულავამ წარმოთქვა: თურმე ქართველ მძღოლებს აღარ მოუწევთ არც რაღაც ბარათების გადაფხეკა იმის შიშით, რომ შეეშლებათ; არც ჯიბეში ხურდის ძიება და იმის ანგარიში, რამდენი ხნის განმავლობაში მოუწევთ გაჩერება; არც მობილურ ტელეფონზე ღილაკების წვალება და მერე დროის უსაშველოდ გამწელავი მჭევრმეტყველების მოსმენა: "გესაუბრებათ პარკირების დახვეწილი სისტემა..." — ეს უკანასკნელი მაინც ყველაზე მაგარი მოფიქრებაა, რადგან არც მობილური კავშირის ოპერატორს ტოვებს მსუქანი ლუკმის გარეშე...

ერთი სიტყვით, გვეშველა: სულ რაღაც 25 ლარი წელიწადში, მერე ავტომობილის უკანა მინაზე მიტყეპებული ქაღალდი და გადავრჩით ყოველ გაჩერებაზე ტანჯვას. მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქაც არ გვაინტერესებს მომხდარის ზედაპირული აღწერა: პირიქით, ჩვენ სწორედ სიღრმეში ჩახედვა გვსურს. სიღრმე კი გვიჩვენებს, რომ როგორც თავიდან გაჩენილი პრობლემების მიზეზი დაუფიქრებლობა იყო (ყველაზე მსუბუქი ამოვარჩიოთ), ასევე მათი გადაწყვეტის ხერხი, რომლის სისწრაფე თვით მაკედონელს შეშურდებოდა, დაუფიქრებლობითაა გამორჩეული.

უპირველეს ყოვლისა: რა უნდა ქნან დედაქალაქში დროებით ჩამოსულმა მძღოლებმა? — აბა, ის ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შემცირებული შემოსავლით დაღონებული "სი.ტი. პარკი" პარკიმეტრების დაყენებას განაგრძობს! მე უფრო ის მგონია, რომ ადგილის დახაზვასა და ლოგოების დაყენებაზე ხარჯებს აირიდებს, რის გამოც კიდევ უფრო გაურკვეველი გახდება იმათი მდგომარეობა, ვისაც საგანგებო საშვი არ აღმოაჩნდება. ჯერ შევიაროთ კანდელაკის ქუჩაზე მდებარე "სი.ტი. პარკის" უბადრუკ ოფისში, მერე გავიხსენოთ, როგორ გაქრა რადიოარხებზე ამ "დახვეწილი სისტემის" მესვეურთა მიერ სპონსორირებული ინფორმაცია, მივაქციოთ ყურადღება, თუ რა "ეკონომიურად" ტარდებოდა საზოგადოების წინასწარი ინფორმირება... არა, ბატონებო, ხსენებული სიახლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იქნება, რომ ჯოხს თბილისის სტუმრებს დაატეხენ თავზე...

გაგრძელება A3 გვერდზე

ვენეცია პოლიტიკური აქცენტებით და ქართული ფილმის წარმატება

ია ვეკუა

სეზონის პირველმა A კლასის საერთაშორისო კიონოფესტივალმა ვენეციის კინოფორუმმა მუშაობა დაასრულა და გამარჯვებულთა ვინაობა გამოაქვეყნა. წელს, როგორც ვენეციის ფესტივალზე ხშირად ხდება ხოლმე, "ოქროს ლომი" ანუ მთავარი პრიზი პოლიტიკური აქცენტებით სავსე ფილმმა მიიღო. ყურადღების გარეშე არც სექსუალურ უმცირესობათა შესახებ გადაღებული სურათი დარჩენიათ.

თავისი წილი გამარჯვება მიიღო ქართულმა კინომაც. სხვათა შორის, ფესტივალის გახსნის დღეებში საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში გვითხრეს, რომ ქართული კინო ვენეციის ფესტივალზე არ იყო წარმოდგენილი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ კინოფორუმზე არა მხოლოდ ვმონაწილეობდით, არამედ გავიმარჯვეთ კიდეც - მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში ნუცა ალექსი-მესხიშვილის 30-წუთიანმა ფილმმა "ბედნიერება" ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

გაგრძელება A9 გვერდზე

ეკონომიკური კრიზისი დასასრულს უახლოვდება

გია ნიკოლეიშვილი

სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დასასრულს უახლოვდება, ხოლო წამყვან ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ტენდენციაც შეიმჩნევა. ამაზე ბევრი ექსპერტი უკვე დიდი ხანია მიუთითებდა, ახლა კი ოფიციალური პირებიც ალაპარაკდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრ თიმოთი გეიტნერის განცხადებით, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო აღარ არის აუცილებლობა ზოგიერთი ღონისძიებისა, რომელსაც ამერიკის მთავრობა ატარებდა. მისი სიტყვებით, "ფინანსური სისტემა აჩვენებს აღდგენის ძალიან ძლიერ სიგნალებს". შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტ ობამას ანტიკრიზისული გეგმა, რომელსაც კონგრესმა დაუჭირა მხარი, ამერიკული მრეწველობის დასახმარებლად 787 მლრდ. დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ შემცირდა, თუმცა უმნიშვნელოდ, უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატებში. ამასთან გამოქვეყნდა მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი ივლისში ივნისთან შედარებით 16,3 პროცენტით გაიზარდა და 31.96 მლრდ დოლარი შეადგინა. იმპორტის მოცულობამ ივლისში 159.55, ხოლო ექსპორტმა 127,59 მლრდ შეადგინა. რა თქმა უნდა, სავაჭრო დეფიციტის ზრდა არც ერთი ქვეყნისთვის არ არის სასიამოვნო, მაგრამ ამ ფაქტს შეიძლება სხვა კუთხითაც შევხედოთ. ის მიუთითებს საომომხმარებლო მოთხოვნის ზრდაზეც. გარდა ამისა, იმპორტის ზრდა შეერთებულ შტატებში მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის ექსპორტის და, შესაბამისად, მთელი ეკონომიკის ზრდას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით ამერიკა კვლავ რჩება მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივად.

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

ფიჩორის მოსახლეობის პროტესტმა შედეგი არ გამოიღო

გალის რაიონის სოფელ ფიჩორის მოსახლეობამ სეპარატისტების მიერ დაწესებული მიწის გადასახადის ოდენობა გააპროტესტა და ფიჩორის დე ფაქტო გამგებელ ზურაბ გვარამიას მისი შემცირება სთხოვა. ამის შესახებ "მედიანიუსს" კონფლიქტის ზონიდან ადგილობრივმა მცხოვრებმა აცნობა.

ამავე წყაროს ცნობით, მოსახლეობა გამგეობაში იყო მისული, თუმცა მოთხოვნა და ხალხის გაჭირვება გამგებელმა არ გაითვალისწინა და ასე უპასუხა: "რაც დაგიწესეთ, ის უნდა გადაიხადოთ".

შეიარაღებულმა აფხაზებმა რამდენიმე ხნის წინ, ზურაბ გვარამიას ხელმძღვანელობით, ფიჩორში მიწის ნაკვეთები აღწერეს და გადასახადები დააწესეს: 1 ჰექტარ თხილის პლანტაციაზე 80 კილოგრამი თხილი მოითხოვეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თხილის ნაკვეთი 1 ჰექტარს აჭარბებს, მესაკუთრეს 250 ლარის ოდენობის გადასახადი დაუწესეს. საკარმიდამო მიწის ფართობზე გადასახადი კი 40-50 ლარის ფარგლებში დაადგინეს.

ამჟამად სეპარატისტები მიწის გადასახადების ამოღებას ახორციელებენ.

როგორც ადგილობრივი მცხოვრები განმარტავს, მიწის გადასახადი წინა წლებშიც იყო, თუმცა წელს თანხის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. "აზრი არა აქვს გაპროტესტებას. სეპარატისტებს რაც სურთ, იმას აკეთებენ და ჩვენც მორჩილად ვიხდით გადასახადებს. სხვა რა გზა გვაქვს," - აღნიშნა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

მედიანიუსი

გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა

ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში დაგეგმილია შეხვედრები ამერიკის თავდაცვის მდივნის მოადგილესთან საერთაშორისო საკითხებში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ევროპულ საქმეთა დირექტორთან, კონგრესმენებთან, გაერო-ში ევროკავშირის წარმომადგენლებთან. ბარამიძე სიტყვით გამოვა აშშ-ს ატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, სადაც საქართველოს შესახებ საგანგებო მსჯელობა გაიმართება.

შეხვედრებზე მთავარ საკითხებად განიხილება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგების აღმოფხვრა, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისათვის საჭირო ნაბიჯების განხორციელება.

როგორც "მედიანიუსს" ვიცე პრემიერ-მინისტრის აპარატიდან აცნობეს, გიორგი ბარამიძე შეხვედრებზე მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და კონგრესს, რომ ევროპასა და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად გააგრძელოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის არაღიარების პოლიტიკა და არ დაუშვას საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება.

ოფიციალურ შეხვედრებზე ასევე განხილული იქნება ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საკითხები და პრიორიტეტები; ასევე ყურადღება გამახვილდება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დასაჩქარებლად განსახორციელებელ ღონისძიებებზე, რათა საქართველომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს ყველა ის ინსტრუმენტი, რაც მინიჭებული აქვს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე და ეს პროცესი წარიმართოს აშშ-სთან თანამშრომლობითა და კოორდინაციით.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი ბარამიძე შეხვდება საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს.

მედიანიუსი

მეუღლე თინა ახალაშვილი, შვილები თამარ და ზაქარია ახალაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა (ვალიკო) ახალაშვილი

პანაშვიდი 14 სექტემბერს
დაკრძალვა 15 სექტემბერს 14 საათზე.
მისამართი: მცხეთა, გმირის ქ. 3

შიდაოპოზიციური არჩევნები

არასაპარლამენტო ოპოზიცია პრაიმერიზის გამართვის იდეას განიხილავს

დათო გამიხონია

"კონსერვატიული პარტიის" ინიციატივით, ოპოზიციურმა ძალებმა ნებისმიერ არჩევნებში ლიდერი პარტიათაშორის ჩატარებული პრაიმერიზით უნდა გამოავლინონ. უახლოესი არჩევნები [ადგილობრივი], პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, 30 მაისს ჩატარდება., რამდენად მისაღებია ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიისთვის თბილისის მერის კანდიდატის გამოსავლენად პარტიათაშორისი პრაიმერიზის გამართვა, - ამის შესახებ "24 საათი" არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს ესაუბრა.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ **"ზოგადად უცხოეთში, ამერიკაში, პრაიმერიზი, განმარტების თანახმად, ერთი პარტიის შიგნით კანდიდატების გამოსავლენი სისტემაა. რაც შეეხება საქართველოს, ამაზე მე ჩემი კერძო მოსაზრება მაქვს."** მისი თქმით, საქართველოში ამის ექსპერიმენტი ჩატარდა: პრაიმერიზი რამდენიმე პარტიას შორის გაიმართა, რომელშიც "რესპუბლიკურ პარტიას" მონაწილეობა არ მიუღია. პირადად ბერძენიშვილს ასეთი პრაიმერიზის გამართვა სწორად არ მიაჩნია, თუმცა დასძენს, რომ ამის გაკეთებას ამა თუ იმ პარტიას ვერავინ დაუშლის. "ალიანსს საქართველოსთვის" ამ საკითხზე პოზიცია ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არა აქვს. **"ამ საკითხზე "ალიანსის" პასუხი ალბათ უახლოეს დღეებში იქნება,"** - განაცხადა ბერძენიშვილმა.

ლევან ბერძენიშვილმა ახალი პოლიტიკური გადაჯგუფების შესაძლებლობებზეც ისაუბრა. მისი აზრით, არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, მოსალოდნელია დაჯგუფებების შექმნა, ძალთა გადანაწილება. ბერძენიშვილის თქმით, **"ჩვენ ამისთვის მზად ვართ, "ალიანსი" იმიტომ არის შექმნილი, რომ ასეთი პროცესები გაითვალისწინოს. ჩვენ ისედაც ვართ, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ბლოკი, ხოლო დავიმატებთ თუ არა ვინმეს, ეს დამოკიდებული იქნება მოლაპარაკებაზე და შექმნილ ვითარებაზე."** პრაიმერიზის გამართვის წინააღმდეგი არ არის "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" გენერალური მდივანი ზურაბ აბაშიძე, თუმცა ამისთვის, მისი აზრით, აუცილებელია გარკვეული წინაპირობის შექმნა. **"თუ ყველა სერიოზული ოპოზიციური ძალა სერიოზულად განიხილავს პრაიმერიზის საკითხს, ჩვენ განვიხილავთ ამ იდეას. მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი არ არის კონკრეტიზებული,"** - აღნიშნა აბაშიძემ.

მართალია, თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებები ჯერჯერობით არ შესულა, მაგრამ ოპოზიციური ძალები ამ ცვლილების შესახებ ხელისუფლების მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებას ეყრდნობიან. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილების მიღების შემდეგ, თუკი ოპოზიციური პარტიები 30 მაისამდე პრაიმერიზს დანიშნავენ, ჯერჯერობით გაურკვეველია, თბილისის მერის არჩევნებში ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძოლებს თუ არა საზოგადოებრივი მოძრაობა "დაიცავი საქართველოს" დამფუძნებელი ლევან გაჩეჩილაძე. მოძრაობის წევრი კოკა გუნცაძე არ არის პრაიმერიზის წინააღმდეგი, თუმცა არც აქტიურად უჭერს მხარს. მისი აზრით, პრაიმერიზი არის დემოკრატიული საშუალება არჩევნების წინ ყველაზე კონკურენტუნარიანი კანდიდატის გამოსავლენად. თუმცა, გუნცაძის თქმით, ამ ეტაპზე პრაიმერიზი არ არის აქტუალური, რადგან ქვეყანაში სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. გუნცაძის თქმით, **"თუ ადგილობრივი არჩევნების წინ პრაიმერიზი დაიგეგმება, ვერ გეტყვით, მასში მიიღებს თუ არა მონაწილეობას ლევან გაჩეჩილაძე. დღესდღეობით ის არ აპირებს მერის არჩევნებში თავისი კანდიდატურის დაყენებას. თუმცა, ბუნებრივია, არაფერია გამორიცხული. ახლა კი პრაიმერიზის ჩატარება მხოლოდ იდეის დონეზე განიხილება და "კონსერვატორების" ამ ინიციატივას, ჩემი აზრით, სხვა პოლიტიკური პარტიებიც იზიარებენ,"** - განმარტა გუნცაძემ.

რუსული ეკლესია ქართული ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიებს აღიარებს

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის მთლიანობას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით აღიარებს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციით, ერთადერთი მოქმედი ძალა, რომელსაც რუსი და ქართველი ხალხის შერიგება შეუძლია, ეკლესიაა.

მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიათა საგარეო კავშირის განყოფილების ხელმძღვანელის, არქიეპისკოპოს ილარიონის განცხადებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მზად არის, ხელი შეუწყოს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტას, რომელშიც კანონით აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შედი, მიუხედავად იმისა, რომ მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს და საქართველოს არ მიეკუთვნებიან. **"ჩვენ ვაღიარებთ, რომ რეალობაში ქართული ეკლესია არც აფხაზეთშია და არც სამხრეთ ოსეთში. ჩნდება კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს და ამას ჩვენს ქართველ პარტნიორებთან ერთად განვიხილავთ. უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის დონეზე ჩვენ საუკეთესო, უბრალოდ ძმური ურთიერთობები გვაქვს,"** - განაცხადა არქიეპისკოპოსმა.

არქიეპისკოპოს ილარიონის განმარტებით, რუსულ ეკლესიას მიაჩნია, რომ პოლიტიკური საზღვრების ცვლილება ეკლესიური კანონიერი საზღვრების ცვლილების აუცილებლობას არ ნიშნავს. **" ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველი სხვა ეკლესიებთან ურთიერთობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება ეკლესიის დაყოფამდე მიგვიყვანდა. ერთადერთი მოქმედი ძალა, რომელსაც დღეს რუსი და ქართველი ხალხის შერიგება შეუძლია, ეკლესიაა. პოლიტიკურ დონეზე ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ადამიანები უფრო დააშორონ ერთმანეთს,"** - აღნიშნა არქიეპისკოპოსმა ილარიონმა.

საკუთარი ინფორმაცია

ბენიტა ფერეფო-ვალდნერი „იუნესკოს„ გენერალურ დირექტორობას აპირებს

ევროკომისარი ბენიტა ფერეფო-ვალდნერი "იუნესკოს" გენერალურ დირექტორობას აპირებს.

ვალდნერი, რომელსაც სამეზობლო ევროპული პოლიტიკა და საგარეო კავშირები ევალება, აცხადებს, რომ ევროკომისიის ახალ შემადგენლობაში მუშაობას აღარ გეგმავს და "იუნესკოს" გენერალური დირექტორობა სურს.

"თუ "იუნესკოს" მუშაობაზე პასუხისმგებელი მე ვიქნები გენერალური დირექტორის ხარისხში, მე ამ ორგანიზაციას პოლიტიკურ პროფილს მივანიჭეს და შევეცდები, იგი შესამჩნევი გავხადო," - განაცხადა ვალდნერმა.

ევროკომისიის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბება კომისიის ახალი ხელმძღვანელის არჩევასაც ითვალისწინებს. ევროკომისიის წევრი 27 ქვეყნის ლიდერებმა ბრიუსელში გამართულ სამიტზე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარე მოქმედი პრეზიდენტის, პორტუგალიელ ჟოზე მანუელ ბაროზუს კანდიდატურას, თუმცა იმისთვის, რომ იგი კვლავ სათავეში ჩაუდგეს ევროკავშირის აღასრულებელ ხელისუფლებას, ევროპარლამენტის თანხმობაა საჭირო.

ბაროზუსთვის ევროკომისიის ხელმძღვანელის მანდატის გაგრძელებაზე კენჭისყრა 16 სექტემბერს სტრასბურგში, ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე გაიმართება. იგი ამ პოსტზე ერთადერთი პრეტენდენტია, მისი დამტკიცებისთვის კი 736-დან 369 ხმაა საჭირო. ევროპარლამენტი ბაროზუს მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში არაეფექტური პოლიტიკისთვის აკრიტიკებს. **პირველი**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

წილთა შენახვის კანონი

პირველი გვერდიდან



რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ, რომ შემოსაღებ ცვლილებამდე ვითარება უკეთესი იყო. ჩემი კრიტიკის ობიექტი ამ შემთხვევაში არა მერიის გადაწყვეტილებაა, არამედ მას მოყოლილი კმაყოფილი სახეები და ზედაპირულობა, რომლის დაძლევა არც მერიას და არც საპარლამენტო ოპოზიციას აზრადაც არ მოსდის. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვარაუდების სფეროში ვიტრიალოთ... ვარაუდი კი საკმაოდ მარტივია: ძირითადი მნიშვნელობა საყოველთაო სარგებელი კი არ არის (მაგალითად, ქუჩების გათავისუფლება, მოძრაობის უკეთესი რეგულირება, საკუთრების უსაფრთხოება), არამედ შემოსავლის გაყოფაა. რა თქმა უნდა, შემოსავალმა მოიკლო, მაგრამ მთავარი პრინციპი ხელშეუხებელია — დანარჩენი კი ბოროტისგანაა...

მთავარი უბედურება კი ის არის, რომ საზოგადოება მხოლოდ მარტივ ამოხსნებს ითხოვს. რთული ამოხსნები ისევე მიუღებელია, როგორც გადასაფხეკ უჯრებში გარკვევა და საჭირო ღილაკებზე თითის დაჭერის ათვისება. არჩევანი მხოლოდ ორი უნდა იყოს: ცუდი და კარგი, ძვირი და იაფი, შავი და თეთრი, ბნელი და ნათელი, დიდი და პატარა. ერთიც რომ გამოერიოს ამაზე მეტი უკვე პრობლემას ქმნის, პროტესტს იწვევს, გამორიცხვის სურვილს აღძრავს. ზუსტად ასეთივე ვითარება შეიქმნა საოპერო მომღერლის, პაატა ბურჭულაძის გამო. ამ საკითხს ხელმეორედ არ შევეხებოდი, რომ არა სოფიო კილასონიას სტატია "მშვიდობისთვის თუ საქართველოსთვის", რომელიც 11 სექტემბერს დაიბეჭდა "24 საათში"...

სტატიას ერთობ პრეტენზიული ქვესათაურიც ახლავს: "მხოლოდ ფაქტები და არაფერი სხვა". თითქოს ფაქტები რაღაც თავისთავად არსებული იყოს და არა ჩვენი არჩევანის შედეგი...

მაშ ასე, ვნახოთ სტატიის დასაწყისი: "ფაქტი I: 7 სექტემბერს მოსკოვში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, პაატა ბურჭულაძე". მერე და რა? რა აზრი უნდა გამოვიტანოთ ამ ორი წინადადებიდან, რომლებიც აღნიშნულია როგორც "ფაქტი"? — უცნობი რჩება, ვინ მოახდინა ამ კონცერტის ორგანიზება, საკუთრივ რაში მდგომარეობდა "ქველმოქმედება". სამაგიეროდ, "ფაქტის" თანდართული კომენტარი გვამცნობს, რომ "კონცერტის ზუსტი ადგილი ცნობილი არაა".

მართალია, ოდნავ ზემოთ აღვნიშნე, რომ "ფაქტი" ის არის, რასაც ჩვენი გონება და ნება რეალობიდან გამოჰყოფს, მაგრამ ამდენი ფილოსოფოსობაც არ ყოფილა საჭირო. საქმე ისაა, რომ ავტორმა რეალობიდან კი არ გამოჰყო ის, რასაც "ფაქტი" უწოდა, არამედ საკუთარი წარმოდგენებიდან. რეალობა კი შემდეგს გვეუბნება: საქველმოქმდო კონცერტი საოპერო მომღერლების მონაწილეობით ჩატარდა არა 5, არამედ 6 სექტემბერს; ჩატარების ადგილიც ცნობილია — მოსკოვის კრემლის სატაძრო მოედანი (ასე ვთარგმნე "Соборная площадь") — ცნობისათვის, ეს ის ადგილია, სადაც მეფის ბრძანებით ღორივით დაკლეს კრემლის პალატთა აღმშენებელი იტალიელი არქიტექტორი არისტოტელე ფიორავანტი; ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ეს საქველმოქმედო კონცერტი იყო ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი "საერთაშორისო სამხედრო-მუსიკალური ფესტივალისა" სახელწოდებით "მაცხოვრის გოდოლი" (Международный военно-музыкальный фестиваль "Спасская башня"). ფესტივალი ტარდებოდა მოსკოვში 5-7 სექტემბერს და ის საგანგებოდ დაამთხვიეს ეგრეთ წოდებულ "მოსკოვის დღეს". ყველა სხვანაირი ცნობა მხოლოდ სინამდვილის ნაწილობრივი გადმოცემაა მასში მონაწილე ქართველი მომღერლის გასამართლებლად — გონების დიდი დაძაბვა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ პაატა ბურჭულაძის ქმედება იგივეა, 1940-იან წლებში რომელიმე ამერიკელ მომღერალს, მაგალითად, მარიან ანდერსონს ტოკიოში, იმპერატორის სასახლის ეზოში რომ ემღერა იაპონელი კამიკაძეების ოჯახების სასარგებლოდ გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე.

სტატიაში მოყვანილი დანარჩენი "ფაქტების" ჩამოთვლასა და განხილვას აღარ მოვყვები — ამ ერთის გადამოწმებას სულ რაღაც სამი წუთი დასჭირდა, თანაც სწორედ ეს გარემოებაა გადამწყვეტი: 6 სექტემბერს, კრემლის სატაძრო მოედანზე პაატა ბურჭულაძემ მონაწილეობა მიიღო სამხედრო-მუსიკალურ ფესტივალში "მაცხოვრის გოდოლი". დიახ, კონცერტი მართლაც საქველმოქმედოდ იწოდება რუსულ მედიაში, მაგრამ ამ ქველმოქმედების მიზანს ერთადერთი ადამიანი გვამცნობს და ის ერთადერთი ადამიანიც თვითონ პაატა ბურჭულაძეა: რუსული ტელეარხის, "ენ-ტე-ვე"-ს საინფორმაციო სამსახური ავრცელებს მის განცხადებას, რომლის თანახმად, კონცერტის შედეგად შეგროვებული თანხა მოხმარდება უნარშეზღუდული ბავშვების მოვლა-პატრონობას. სხვა მოწმობა კონცერტის მიზნის შესახებ მე ვერ აღმოვაჩინე...

მაგრამ დავუბრუნდეთ სტატიის ტექსტს. აქ ვკითხულობთ: "არ იქნებოდა საოპერო დასის არც ერთი გასტროლი საზღვარგარეთ, არც ერთი პრემიერა, ქართველი ახალგაზრდა ვოკალისტების საზღვარგარეთ სასწავლებლებში გაგზავნა და მიღება, არც ერთი გასტროლიორი თბილისში ბურჭულაძის ფინანსური დახმარების, მისი ავტორიტეტის ჩაურევლობის გარეშე. უმეტესი კონტაქტებისა და ხელშეკრულებების მიღმა პაატა ბურჭულაძე იდგა და დგას". დავუშვათ, არაფერი ვიცით და არც შეფასება შეგვიძლია: ასეთი განცხადება მაინც ზედმეტად კატეგორიული და ხმამაღალია.

უფრო ზუსტად: ფაქტობრივი ღირებულება სტატიის ამ ფრაგმენტს არ გააჩნია. მაგალითად, დანამდვილებით შემიძლია ვამტკიცო, რომ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ვოკალისტები — მათი რიცხვი კი არ არის მცირე — ამ სიიდან უნდა გამოვრიცხოთ, რადგან საფრანგეთში პაატა ბურჭულაძის სახელი არ არის მაინცდამაინც ცნობილი და ის ვერავის ჩაუწყობდა საქმეს. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავსტრიაში, მომღერლის ავტორიტეტი უახლოეს წარსულში გაცილებით უფრო მაღალი იყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ავსტრია მთელი დასავლეთი არ არის. ერთი სიტყვით, "არც ერთი" — მართლაც ძალიან ხმამაღლაა ნათქვამი და სტატიის ამ ფრაგმენტს შეგვიძლია მეტი დრო აღარც დავუთმოთ, რომ არა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება...

ბოლოს და ბოლოს, რას გვეუბნება ეს ფრაგმენტი? როგორია მისი ეთიკური შინაარსი? — პაატა ბურჭულაძის ხელშია მთელი "საოპერო მაფია", ამიტომაც ის ყოველგვარი კრიტიკისათვის მიუწვდომელი უნდა იყოს. კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდეთ სტატიის ტექსტს: ავტორის თქმით, თურმე ბალეტს აცოცხლებს "დამატებითი ფინანსები, რომლებსაც ნინო ანანიაშვილის რენომეს უხდის სახელმწიფო", ოპერას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სული ამოხდებოდა პაატა ბურჭულაძის გარეშე. ამის შედეგად კი რა მივიღეთ? — "ათეულობით და ასეულობით ათასი დოლარის ინვესტირება და შენარჩუნებული სფერო".

გამოდის, რომ სულ ამაოდ ცეკვავენ ქართველები საბალეტო სცენაზე — რომ არა ნინო ანანიაშვილი, ზედაც არავინ შეხედავდა. სულ ტყუილად მღერიან — რომ არა პაატა ბურჭულაძე, არც სასწავლებლად მიიღებდა ვინმე და არც მეტ-ნაკლებად ღირებულ სცენას გააკარებდა. ეს არის ამ "შენარჩუნებული სფეროს" ერთადერთი ღირსება? — თუ ავტორს დავუჯერებთ, უციალობლად მივალთ დასკვნამდე, რომ ასეთი "სფეროს" შენარჩუნება არც ღირს. რა ფასი აქვს ამდენი ფულის ხარჯვას, თუ ყველაფერი ამ ორი ადამიანის "რენომეზე" და "ავტორიტეტზე" ჰკიდია?

ამის გარდა, ავტორი "დაცვის" კიდევ ერთ ავტორიტეტს გვთავაზობს: თუ განგაში არ ავტეხეთ ნინო ქათამაძისა და თიკა კანდელაკის საქმეებზე (შევნიშნავ, რომ მიუხედავად ჩემი თავხედობისა, მაინც ვერ გავბედავდი ამ ორი სახელის გვერდიგვერდ ხსენებას), არც პაატა ბურჭულაძის განსჯის უფლება გვაქვს. არგუმენტი უსუსურია, რადგან არც ერთი ჩვენგანი, თავისთავად, არ არის ვალდებული იცოდეს ყველაფერი — რაც გვაშფოთებს, იმას ვუპასუხებთ. თანაც გაუხსნელ დანაშაულთა მაღალი პროცენტი არ არის შემამსუბუქებელი გარემოება გახსნილი დანაშაულისათვის.

ერთი სიტყვით, როგორც ქალაქში პარკირების წესის დადგენისას, ასევე ხელოვანის სამოქალაქო ღირსების შემთხვევაში ერთი და იგივე პრინციპი მოქმედებს, რომელიც შეიძლება განვმარტოთ როგორც წილების შენახვის კანონი. სულერთია, რეალური თუ სიმბოლური კაპიტალის წილზეა საუბარი — მთავარია, რომ ყოველი პროცესი ისე წარიმართოს, რომ მოქმედი სუბიექტების საწყისი წილები შენარჩუნდეს. დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს.

მხოლოდ ასე გრძნობს ქართველი რეალობის მდგრადობას. აბა, მძღოლების ინტერესზე რომ დაიწყონ ფიქრი, ან ვინმემ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, სად არის გარანტია, რომ რაიმე საქმეში ვინმე ოდესმე მის პირად წილს გაუწევს ანგარიშს, მის სიმწრით მოპოვებულ მწირ რენომეს გაითვალისწინებს? ამ ცხოვრების ორომტრიალში ცოტ-ცოტა სიმბოლური თუ რეალური კაპიტალი ყველას გვაქვს შეძენილი: ზოგი ჯამით ტოლუმბაშში ვჩანგართ კარგად, ზოგიც — მუშტი-კრივში. ჰოდა, ყველას გვინდა, რომ ეს დაგროვილი წილები სხვაგანაც გამოგვადგეს, უფრო სწორად, ყველგან.

ჩვენი მენტალობის ეს არსებითი თვისება აახლოვებს ორ განხილულ შემთხვევას: სინამდვილეს ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც ბანქოს შეუძლებელ თამაშს, სადაც ყველამ თავისი შეკვეთილი უნდა აიღოს და "ვზიატკის" გარეშე არავინ მოჯდეს. პირველ შემთხვევაში მერია და "სი.ტი. პარკი" შემოსავლის განაწილების პროპორციას ინარჩუნებს, საპარლამენტო უმცირესობა ყვავს კაკალს აგდებინებს და ყველა ბედნიერი რჩება, რადგან დანარჩენები ამ პროცესის მონაწილეებად, უკაცრავად, მოწილეებად არ მიიჩნევიან. მეორე შემთხვევაში ეთიკური განსჯის უფლება მხოლოდ მათ ენიჭებათ, ვისაც "იმდენივე სიკეთე აქვს გაკეთებული", რითაც საბოლოოდ იშლება განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის: ზუსტად ისე, როგორც არც თუ შორეულ წარსულში, როცა მსხვილი კრიმინალები ეკლესიებს აშენებდნენ და ქტიტორის ღვაწლით ახერხებდნენ საზოგადოებაში ეთიკური შეგრძნების დაჩლუნგებას.

ტორნადომ თურქეთში ტურისტები დააზიანა

თურქეთის კურორტ ალანიას, რომელიც ანტალიიდან 100 კილომეტრში მდებარეობს, ქარიშხალმა გადაუარა. ოფიციალური ინფორმაციით, დაშავებულთა უმეტესობა გერმანელი ტურისტია. ისინი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. არსებული ინფორმაციით, თურქეთში მყოფი ქართველი ტურისტები არ დაშავებულან. თურქეთის ჩრდილოეთ რეგიონებში კი კვლავ გადაუღებლად წვიმს. წყალდიდობას სტამბულსა და მის გარეუბნებში უკვე 32 ადამიანი ემსხვერპლა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, სანაპიროზე დაზიანდა რამდენიმე სავაჭრო ცენტრი. მათივე ინფორმაციით, ამინდის შემდგომი გაუარესება მოსალოდნელი არ არის. **საკუთარი ინფორმაცია**

პოლონეთი საქართველოს 5,5 მლნ ევროს ოდენობის დახმარებას გამოუყოფს

პოლონეთი საქართველოს დახმარების სახით 5,5 მილიონ ევროს გამოუყოფს. ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარეკ ზიულკოვსკიმ განაცხადა.

თანამეგობრობის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის თქმით, გამოყოფილი თანხა აგვისტოს ომის შემდეგ ქვეყნის ინფრასტრუქტურის აღდგენის დახმარებას ისახავს მიზნად. "გამოყოფილი თანხით განხორციელდება 30 სხვადასხვა პროექტი. საქართველო პოლონეთისთვის პრიორიტეტულ სახელმწიფოდ რჩება, რომელსაც დახმარებას აღმოვუჩენთ," - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას მარეკ ზიულკოვსკიმ.

ოფიციალური ინფორმაციით, 5,5-მილიონიანი დახმარება საქართველოში 2010 წლის ბოლომდე შემოვა.

პირველი

მედიაომბუდსმენს სექტემბრის ბოლოს სპეციალური ჯგუფი აირჩევს

სექტემბრის ბოლოს ქვეყანას შესაძლოა, მედიაომბუდსმენიც ჰყავდეს. როგორც სპეციალურად შექმნილი ჯგუფის წარმომადგენელმა მამუკა ღლონტმა "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, მედიაომბუდსმენის არჩევა სწორედ მიმდინარე თვის ბოლოსთვისაა დაგეგმილი."სპეციალურად ამ საკითხზე შექმნილი ჯგუფი, რომლის წევრებიც მე და ბატონი ლაშა ტყეღუში ვართ, სექტემბრის ბოლოს შეხვედრას მოვაწყობთ, რომელზეც ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი იქნება მოწვეული. პირველივე სხდომაზე ჩვენ ავირჩევთ მედიაომბუდსმენობის კანდიდატებს ან პირდაპირ მედიაომბუდსმენს," - განაცხადა "ჯი-ეიჩ-ენ"-თან საუბარში მამუკა ღლონტმა.

მისივე განმარტებით, მედიაომბუდსმენის საქმიანობას ის მედიასაშუალებები უზრუნველყოფენ, რომლებიც მის არჩევაში მიიღებენ მონაწილეობას.

მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის ინიციატივა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის თბილისში ვიზიტის შემდეგ წამოვიდა. როგორც ამ იდეის ინიციატორები განმარტავენ, მედიაომბუდსმენი ქვეყანაში თავისუფალი ჟურნალისტიკის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესტონეთს ეწვევა

14-15 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური ოფიციალური ვიზიტით ესტონეთს ეწვევა. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენ"-ს პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს.

ვიზიტის ფარგლებში მხარეები განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს, მათ შორის ეკონომიკის, კულტურის, საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების სფეროებში.

ესტონეთის საგარეო უწყების ინფორმაციით, ასევე განხილული იქნება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხიც.

"განხილული იქნება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხი და რეგიონში შექმნილი ვითარება," - აცხადებს ესტონეთის საგარეო უწყება.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ნიკა გულაური შეხვდება ქვეყნის პრეზიდენტ ტომას ჰენდრიკ ილევსს, პარლამეტის სპიკერ ენე ერგმას, პრემიერ-მინისტრ ანდრუს ანსიპს და ეკონომიკისა და კომუნიკაციის მინისტრ იუხან პარტსონს.

ესტონეთიდან პრემიერი ლატვიაში გაემგზავრება, სადაც ლატვიის ორგანიზებით დაგემილ ბიზნესფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

ჯი-ეიჩ-ენი

ეკონომიკური კრიზისი დასასრულს უახლოვდება

პირველი გვერდიდან



შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი თიმოთი გეიტნერი

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა იაპონიაა. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ იაპონიის მშპ 2009 წლის მეორე კვარტალში 0.6 პროცენტით გაიზარდა, რაც ზედიზედ 5 კვარტლის განმავლობაში ვარდნის შემდეგ პირველად მოხდა. ამ ზრდის ძირითად მიზეზად იაპონიიდან ექსპორტის ზრდას ასახელებენ. საფრანგეთისა და გერმანიის შემდეგ გამოჯანსაღების ნიშნები იაპონიის ეკონომიკამაც აჩვენა. მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით ანალიტიკოსები მოელიან ეკონომიკის წლიურ ზრდას 2.3 პროცენტით, რაც პროგნოზირებულ 3.7 პროცენტზე ნაკლებია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ბევრი ანალიტიკოსი ეკონომიკის ზრდას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში 2010 წლამდე არ მოელოდა. ახლა კი იაპონიის ეკონომიკის ზრდა წლიური 2.3 პროცენტით იგივე ანალიტიკოსებისთვის ცოტაა. როგორც ვხედავთ, ეკონომიკური მდგომარეობა მსოფლიოში სწრაფად იცვლება და მასთან ერთად იცვლება მოლოდინებიც და პროგნოზებიც.

მსოფლიო ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრებისათვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო კარგი ეკონომიკური მაჩვენებლები ჩინეთისა, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობისა და საცალო ვაჭრობის მოცულობა.

მომავალი ეკონომიკური აღმავლობის მოლოდინში ინვესტორები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ განვითარებად და მზარდ ეკონომიკებს, რომელთა შორისაც უნდა მოვიაზროთ საქართველოს ეკონომიკაც. ეს ჩვენთვის ძალიან კარგი ნიშანია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ეკონომიკა დიდი რაოდენობით უცხოურ ინვესტიციებს საჭიროებს. გასულ კვირას უცხოური ინვესტიციები საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასახული ღონისძიებები დაეხმარება ქვეყანას, უკვე მომავალი წლიდან მკვეთრად გაზარდოს უცხოური ინვესტიციების რაოდენობა. მანამდე საქართველომ არსებული საერთაშორისო კრედიტები და დახმარება ეფექტურად უნდა გამოიყენოს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილება, რომელმაც განსაზღვრა 2009-2012 წლებში საქართველოს დახმარებასთან დაკავშირებული ძირითადი მიმართულებები. ის ამ მიზნებისთვის 740-900 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ახალი სტრატეგიის ფარგლებში ეს ფინანსები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რეფორმებს ჯანდაცვისა სოციალური დახმარების სფეროში და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მოხმარდება.

გასულ კვირას განვითარებადი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროსაბჭოს მიერ 15 მილიარდი ევროს ოდენობით დახმარების შეთავაზება, რათა მათ ხელი მოანერონ ახალ ხელშეკრულებას კლიმატის გლობალური ცვლილებების შესახებ. ბუნების დაცვის საკითხებში ევროკავშირის კომისრის - სტავროს დიმასის განცხადებით, ეს დაეხმარება ამ ქვეყნებს, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვი შეამცირონ.

მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი სათანადოდ აისახა საფონდო ბაზრებზეც. მსოფლიოს თითქმის ყველა ბირჟაზე მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა აქციების ფასების მკვეთრი ზრდა, რომელიც კვირის ბოლოს მცირე კორექციით დამთავრდა. დოუ ჯონსის ინდუსტრიალურმა საშუალო მაჩვენებელმა კვირა 9,605.41 პუნქტზე დაამთავრა და დიდი ალბათობაა, რომ ის ჯერ კიდევ წლის ბოლომდე მიაღწევს თერთმეტიათასიან ნიშნულს. მთლიანად მსოფლიო საფონდო ბაზრებზე აქციების ფასებმა საშუალოდ 4 პროცენტით მოიმატა და ბევრმა მათგანმა უკანასკნელი თერთმეტი თვის მაქსიმუმს მიაღწია. შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა იაპონიის საფონდო ბაზარი, რადგან იაპონიის ეკონომიკის ზრდის ტემპებმა ინვესტორებში გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია.

საქართველოს საფონდო ბაზარზე შესამჩნევი იყო "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციებით ვაჭრობის გააქტიურება, რაც ალბათ დროებით ხასიათს ატარებს. მთლიანობაში, სამწუხაროდ, საქართველოს საფონდო ბაზარი კვლავაც მცირეაქტიურია.

მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა სამრეწველო ლითონებით ვაჭრობაზეც აისახა. მათზე ფასი თითქმის მთელი კვირა იზრდებოდა და ხუთშაბათს მცირე კორექციით დამთავრდა. ეს ქართველი ექსპორტიორებისათვის უეჭველად კარგი ამბავი იქნება.

ნავთობზე ფასები თითქმის მთელი კვირის განმავლობაში იზრდებოდა. პარასკევის კორექციის შედეგად ბარელზე ფასი 70 დოლარის მიდამოებში დარჩა. "ნავთობის ფასი 70-75 დოლარის ფარგლებში მისაღები უნდა იყოს როგორც ექსპორტიორებისათვის, ისე იმპორტიორებისათვის," - განაცხადა ანგოლის ენერგეტიკის მინისტრმა ვენაში გამართული ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის სხდომის შემდეგ. ეს განცხადება გამოხატავს სხდომის სხვა მონაწილეთა აზრს. გადაწყვეტილება მიიღეს, უცვლელად დატოვონ ოფიციალური კვოტები ნავთობის მოპოვებაზე. ოფიციალური კვოტა 11 ქვეყნისთვის (ერაყის გამოკლებით) შეადგენს 24,845 მლნ ბარელს/დღეში, თუმცა რეალური მოპოვება საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ექსპერტების შეფასებით, აგვისტოში ამ ქვეყნებში 26,3 მლნ. ბარელს/დღეში (ერაყის ჩათვლით 28,8 მლნ.ბარელს/დღეში) შეადგენდა. ეს გადაწყვეტილება მსოფლიო ეკონომიკის მომავალი აღმავლობის გათვალისწინებით შეიძლება უცნაური გვეჩვენოს, მაგრამ ექსპორტიორები გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ. ნავთობის ფასის შემდგომ ზრდას ხელს უშლის ნავთობის დიდი მარაგები, რომელიც დაგროვილია მსოფლიოში და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. თუმცა, უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის დამთავრების შემდეგ, ფასის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი.

ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა დოლარის კურსის გამო გარკვეული უკმაყოფილება გამოხატეს. საქმე ის არის, რომ დოლარი სხვა ძირითად ვალუტებთან, პირველ რიგში ევროსთან შედარებით კვლავაც სუსტია. შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ოპტიმისტურმა განცხადებამ წნეხი დოლარზე მხოლოდ ოდნავ შეასუსტა. კვირის ბოლოს დოლარის კურსი ევროსთან 1.4570-ს შეადგენდა. დოლარის სისუსტე საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვნად არ ასახულა მის კურსზე საქართველოში. ლარის კურსი დოლართან კვირის ბოლოს 1.6834 ნიშნულზე დაფიქსირდა .

გასულ კვირას "ჯენერალ მოტორსის" დირექტორთა საბჭომ "ოპელის" გაყიდვის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. სხვა შესაძლებლობა იყო "ოპელის" დატოვება "ჯენერალ მოტორსის" შემადგენლობაში ან მისი გაკოტრება. შესაძლო მყიდველებს შორის ასახელებდნენ ბელგიურ ფონდს RHJ და კანადურ-რუსულ კონსორციუმ "მაგნა-სბერბანკს", რომელიც გერმანული მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა. ამასთან "ჯენერალ მოტორსს" არ სურდა, რომ "ოპელის" ტექნოლოგიები რუსეთში მოხვედრილიყო.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ოპელს" კანადურ-რუსული კონსორციუმი გარკვეული პირობებით იყიდის. მთავარი ამ პირობებში არის ის, რომ "ოპელში" არსებული ტექნოლოგიები "ჯენერალ მოტორსს" დარჩება, ხოლო ახალი ტექნოლოგიები, რომელსაც მომავალში შექმნიან "ოპელის" ინჟინრები, "ოპელის" საკუთრება იქნება. "ოპელი" "ჯენერალ მოტორსის" მსოფლიო ქსელის შემადგენლობაში" რჩება. ასეთი იყო ამ გარიგების თაობაზე "ჯენერალ მოტორსის" განცხადების ერთ-ერთი ძირითადი ლაიტმოტივი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ "ჯენერალ მოტორსს" იმედი აქვს, ტექნოლოგიური დამოკიდებულება მას "ოპელის" კონტროლის საშუალებას მისცემს. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს.

მეორეს მხრივ, საინტერესოა, რამდენად წარმატებით შეძლებს კონსორციუმი, მართოს უაღრესად რთული დარგის საწარმო, ან რატომ აქვს გერმანიის მთავრობას ამ კონსორციუმის იმედი, ან რად უნდა "სბერბანკს" ასეთი ტიპის ინვესტიცია. ეჭვი არავის ეპარება, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი "სბერბანკის" უკან რუსეთის მთავრობა დგას. მისი მიზანი, ალბათ, "ოპელის" ტექნოლოგიების დახმარებით რუსეთის საავტომობილო მრეწველობის მოდერნიზაციაა. ყოველ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მილიარდობით დოლარის დახარჯვის მიუხედავად რუსეთის უაღრესად წარუმატებელ გამოცდილებას ამ საქმეში, ეს პროექტი არ შეიძლება პერსპექტიულად ჩაითვალოს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რეაბილიტაციის მესამე პროექტი

ნინო ნარჩემაშვილი

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის **147 მილიონი აშშ დოლარის სესხი, რომელიც მოხმარდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის** განხორციელებას საქართველოში. ეს E-60 საავტომობილო გზის - საქართველოს მთავარი სატრანსპორტო დერეფნის - რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი ინვესტიციებიდან რიგით მესამეა.

პროექტი ითვალისწინებს E-60 გზის სვენეთი-რუისის მონაკვეთის რეაბილიტაციასა და მის ჩქაროსნულ ოთხზოლიან გზად გადაკეთებას. იგი ასევე დაეხმარება მთავრობას სატრანსპორტო სექტორში რეფორმების გატარებაში, რომლებიც საავტომობილო გზების დეპარტამენტის გაძლიერებას, საავტომობილო გზების ეფექტური ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესის შემოღებას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საინჟინრო-ტექნიკური განათლების უზრუნველყოფას მოიცავს. მოსალოდნელია, რომ სამ წელიწადში, პროექტის დასრულების შემდეგ, მიღწეული იქნება საგზაო ტრანსპორტის ხარჯების შემცირება და მისაწვდომობის გაუმჯობესება, ტრანზიტის გამარტივება, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის ცენტრალურ ნაწილში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდა. საავტომობილო გზების სისტემის დაგეგმვის და მართვის უზრუნველსაყოფად და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე გაძლიერდება საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობები.

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში ასად ალამი აღნიშნავს, რომ **"პროექტი საქართველოსთვის თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის (CPS) ძირითადი ელემენტია. იგი არა მხოლოდ გააძლიერებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმების შესაძლებლობებს საშუალოვადიან პერსპექტივაში, არამედ ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკური აღორძინების პროცესის სტიმულირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უახლოეს მომავალში. "**

პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელ ქრისტოფერ ბენეტის განცხადებით, **"საქართველოს გზებზე საგარეო ვაჭრობის მთლიანი ნაკადის 60 პროცენტზე მეტი სწორედ E-60 საავტომობილო გზაზე გადის. აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მთავარი სატრანსპორტო დერეფნის, პოზიციის განმტკიცებას. მთავრობის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია E-60 მაგისტრალის მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების საქმეში, ვინაიდან ამ გზის რეაბილიტაციის პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს."**

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალის რეაბილიტაციის მესამე პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო გზების სექტორში მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების მნიშვნელოვნად გაზრდას. 19 მილიონი აშშ დოლარი უკვე გამოყოფილია აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის რეაბილიტაციის პირველი პროექტისთვის, რომლის განხორციელებაც 2006 წელს დაიწყო, და 35 მილიონი აშშ დოლარი - აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რეაბილიტაციის მეორე პროექტის განსახორციელებლად, რომლისთვისაც დამატებითი დაფინანსების სახით 2008 წელს კიდევ 20 მილიონი აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი. ეს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის უფრო ვრცელი პროგრამის ნაწილია, რომელიც მოიცავს ასევე ადგილობრივი და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების გზების რეაბილიტაციაში მიმდინარე ინვესტიციებს.

„ცისფერი ალი„ დმანისში, იორმუღალოში და ლაგოდეხში აინთო

“სოკარი” 2009 წელს ბუნებრივ აირს 57 ათას აბონენტს მიაწვდის

ნინო ნატროშვილი

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია “სოკარმა” საქართველოს რეგიონებში გაზიფიკაციის პროცესი დაიწყო. საპრეზიდენტო პროგრამის “გაზი ყველა სოფელს” ფარგლებში, რეგიონებში გაზის გამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. “სოკარის” ინიციატივით ცისფერი ალი პირველად დმანისში, შემდეგ საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღალოში და ლაგოდეხში აინთო. დმანისში რეაბილიტირებული ქსელის პრეზენტაციას “სოკარის” პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი და “სოკარ ენერჯი ჯორჯიას” გენერალური დირექტორი მაირ მამედოვი ესწრებოდნენ. მათ დმანისის მოსახლეობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. პრეზენტაციას რეგიონის გუბერნატორი დავით კირკიტაძე და “ქართლი გაზის” ხელმძღვანელი ელგუჯა ცხვარაძეც დაესწრო.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია “სოკარის” პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევის განცხადებით, პროექტის ფარგლებში საქართველოში 250 ათასი აბონენტის გაზიფიცირება მოხდება. ამის შესახებ აბდულაევმა დმანისში არსებული გაზის ქსელის რეაბილიტაციის დასრულებასთან დაკავშირებულ საქართველოს გაზიფიკაციის პროექტის ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე განაცხადა.

“მომდევნო 5 წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში მოსახლეობის 70-75% გაზიფიცირებული იქნება, რაც დაახლოებით 250 ათას აბონენტს შეადგენს. წლის ბოლომდე კი 57 ათასი აბონენტის გაზიფიცირება განხორციელდება,” - განაცხადა აბდულაევმა, რომლის ინფორმაციით, პროექტის საერთო ღირებულება 100 მილიონი დოლარია.

“საქართველოს გაზიფიკაციის პროექტი მთლიანობაში 100 მილიონი დოლარი ჯდება. ჩვენ უფლება გვქონდა, გაზი კომერციულ ფასში გაგვეყიდა, მაგრამ საქართველოს მთავრობასთან ერთად საქართველოს მოსახლეობის გაზიფიცირების გადაწყვეტილება მივიღეთ. შესაბამისად, მოსახლეობა ერთ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 50-51 თეთრად იყიდის. ამ ტარიფით ბუნებრივი აირის გაყიდვა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო გადაწყდა,” - აღნიშნა აბდულაევმა.

დმანისის შემდეგ, გაზიფიკაციის პროცესი სხვა სოფლებშიც გაგრძელდება. როგორც რეგიონის გუბერნატორი დავით კირკიტაძე განმარტავს, ბუნებრივი აირის სახლამდე მიყვანის ხარჯს და მრიცხველის საფასურს მოსახლეობა თავად გადაიხდის. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, მოსახლეობას კრედიტს ბანკი გამოუყოფს, მომხმარებელი კი სესხს ეტაპობრივად დაფარავს.

დმანისის შემდეგ გაზის ახალი ქსელი საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა გახსნა. პრეზენტაციას “სოკარის” წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

გაზიფიკაციის სამუშაოები საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და აზერბაიჯანულ კომპანია “სოკარს” შორის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა. მინისტრის განაცხადებით, მომავალი სამი წლის განმავლობაში საპრეზიდენტო პროგრამის - “გაზი ყველა სოფელში” ფარგლებში საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის 70 პროცენტს ბუნებრივი აირი ექნება. ხეთაგურის თქმით, სამუშაოები იმდენად სწრაფად და მასშტაბურად მიმდინარეობს, რომ თითქმის ყოველ კვირას ახალი ობიექტი გაიხსნება. “საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზგამანაწილებელ ქსელში წლის ბოლომდე ჯამში 57 ათასი აბონენტი ჩაერთვება. ამავდროულად, “სოკარი” საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ქვეყნის ბუნებრივი აირით მომარაგება ამ კომპანიიის დახმარებით ხდება. ეს კომპანია არის ყველაზე მსხვილი გადამხდელი საქართველოს ბიუჯეტში,” - აღნიშნა ალექსანდრე ხეთაგურმა.

დღის ბოლოს გაზგამანაწილებელი ქსელის პრეზენტაცია ლაგოდეხშიც განხორციელდა. ცერემონიას, ენერგეტიკის მინისტრის გარდა, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კომპანია “სოკარის” პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი და “სოკარ ენერჯი ჯორჯიას” გენერალური დირექტორი მაირ მამედოვიც დაესწრნენ.

ENERGOKREDITI
შეცვალე გარემო შენს სასარგებლოდ

European Bank
for Reconstruction and Development

მოწვევა ენერგო ეფექტური მოწყობილობებისა და მასალების მომწოდებელთა რეგისტრაციაზე

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ადგილობრივი ბანკებისათვის გამოყოფილია 35 მილ. აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი მაღალი ხარისხის ენერგო ეფექტური მოწყობილობების დასაფინანსებლად. თიბისი ბანკის ახალი სამომხმარებლო სესხის ოფიციალური პრეზენტაცია მოხდება ოქტომბერში, რაც მომავალში სხვა ადგილობრივ ბანკებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

გათვალისწინებულია BP-ის მიერ სესხებისათვის 15%-იანი სუბსიდია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონსულტანტები, საქართველოს ენერგო ეფექტურობის პროგრამის გუნდი, რომელიც შედგება ადგილობრივი და საერთაშორისო ინჟინრებისგან, განსაზღვრავენ და დაამტკიცებენ სესხის ფარგლებში შესაბამის მოწყობილობებს.

სესხით გათვალისწინებულია შემდეგი სახის პროდუქტების დაფინანსება:

- ფანჯრები ორმაგი შემინვით
- შენობების კედლების, სახურავებისა და იატაკების თბოიზოლაცია
- ბოილერები და ცენტრალური გათბობის სისტემები
- მზის თერმული სისტემები ცხელი წყლისათვის და ცენტრალური გათბობისათვის
- მაღალი ეფექტურობის ბიომასის ღუმელები
- ბიოდაიჯესტერები სოფლის მეურნეობებისათვის

მომწოდებლებისათვის სავალდებულოა პროდუქტების მონტაჟი და კლიენტისათვის შესაბამისი გარანტიის უზრუნველყოფა.

შერჩეული მომწოდებლები მიიღებენ შემდეგი სახის უპირატესობებს:

- კლიენტებისათვის ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა
- საკუთარი პროდუქტებისა და მომსახურეობის რეკლამირება

ენერგო ეფექტურობის გუნდის მიერ მოხდება პროდუქტებისა და მომსახურეობის შემოწმება და შერჩევა შესაბამისობის კრიტერიუმების თანახმად, რის შემდეგაც შერჩეული მომწოდებლების ვინაობა და პროდუქტების ჩამონათვალი განთავსდება პროექტის ვებ-გვერდზე და მონაწილე ბანკებში. რეგისტრაციისათვის ბოლო ვადა არ არის ამჟამად დადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომწოდებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ნებისმიერ დროს.

მომწოდებლებს, რომელთა პროდუქტები და მომსახურეობა პასუხობს ჩვენს შესაბამისობის კრიტერიუმებს ვიწვევთ ჩვენს ვებ-გვერდზე www.energocredit.ge
რეგისტრაციისათვის, ხოლო ტექნიკური ინფორმაცია პროდუქტების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: office@geep.ge.
შესაბამისობის კრიტერიუმებზე დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი: www.energocredit.ge.

ენერგო ეფექტურობის პროექტის მისამართია, ფალიაშვილის ქ. 17, ტელ. 22 49 62, ელ-ფოსტა: office@geep.ge.

სუბსიდირების ეს სქემა BP-ს და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტის, ენერგოეფექტურობის და ენერგეტიკის სფეროში განათლების პროგრამა ქართული სოფლებისთვის, ნაწილია. პროექტის უმთავრესი მიზანია მომხმარებლის ცოდნის დონის ამაღლება ენერგიის ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენებაში და ასევე ენერგო ეფექტური წყაროების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

bp SOCAR StatoilHydro Chevron INPEX TP ExxonMobil devon ENERGY ITOCHU AzBTC TOTAL HESS LUKOIL NICO Eni ConocoPhillips

"უდოს" ახალი კომისიის პირველი სხდომა სექტემბრის ბოლოს გაიმართება

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების, ე.წ. უდოს ახალი კომისიის პირველი სხდომა სექტემბრის ბოლოს ჩატარდება. კომისიის თავმჯდომარედ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თავისი მოადგილე ლევან ზარანდია დანიშნა. კომისიაში სამინისტროს ექვსი წარმომადგენელი ეყოლება, რომელთა ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. ცნობილია კომისიაში პარლამენტის კვოტით წარდგენილი დეპუტატების ვინაობა - უმრავლესობიდან გია არსენიშვილის, უმცირესობიდან კი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურები დაამტკიცდა.

რაც შეეხება კომისიაში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს, ეს საკითხი გაურკვეველია. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა და "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ხელმძღვანელმა მანანა კობახიძემ განაცხადეს, არასამთავრობოებისთვის კანდიდატზე შეთანხმების თხოვნით სასჯელაღსრულების სამინისტროს არ მიუმართავს. შესაბამისად, მათ ამ საკითხზე არანაირი კონსულტაციები არ ქონიათ და არც წარმომადგენელი დაუსახელებიათ. "პატიმრობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა, როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის არსებობის ადგილი და ფორმატი, ასევე კომისიაში შემავალ პირთა წრე. კერძოდ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, კომისიაში ცხრა წევრი შევა. აქედან ექვსი სამინისტროს წარმომადგენელი იქნება. დარჩენილ სამ ადგილს პარლამენტის უმრავლესობის, მის გარეთ მყოფი დეპუტატების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები როტაციის პრინციპით დაიკავებენ. ისინი შეცვლას სამ თვეში ერთხელ დაექვემდებარებიან. ეს კანონი ძალაში მიმდინარე წლის 1-ელ სექტემბერს შევიდა.

ინტერპრესნიუსი

ლევან გოგიჩაიშვილის სასამართლო დაკითხვა

ოპოზიციის აქტივისტების, "9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრების ლევან გოგიჩაიშვილისა და გიორგი ალხაზიშვილის სასამართლო პროცესი დღეს ლევან გოგიჩაიშვილის დაკითხვით განახლდება. წინა პროცესზე მეორე განსასჯელი ალხაზაშვილი დაიკითხა.

მხარეთა პაექრობისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ კი განაჩენი გამოცხადდება.

წინა სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. როგორც გოგიჩაიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა განაცხადა, სააკაშვილის დაკითხვას გოგიჩაიშვილის საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მისივე თქმით, სააკაშვილის დაკითხვიდან ცხადი გახდებოდა, რომ გოგიჩაიშვილის დაკავებაში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, რაც განსასჯელის უკანონო პატიმრობას დაადასტურებდა.

"ჩვენი ინფორმაციით, დაკავებაში 100-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. 19 ივნისს ტელევიზიით სააკაშვილმაც დაადასტურა, რომ გოგიჩიშვილის დაკავებაში ბევრ ადამიანს უნდა მიეღო მონაწილეობა, ვინაიდან კრიმინალია. დაკავების ოქმში კი წერია, რომ გოგიჩაიშვილის დაკავებაში სამი ადამიანი მონაწილეობდა. გვინდა იმის დამტკიცება, რომ დაკავების ოქმი დაკავებისას ადგილზე არ შემდგარა და მოგვიანებით დაწერეს, რაც გოგიჩაიშვილის უკანონო დაკავებას ნიშნავს," - განაცხადა ჯანგირაშვილმა.

მისივე განმარტებით, მოსამართლე დავით ჯუღელმა, ამ შუამდგომლობასთან ერთად, არ დააკმაყოფილა დაცვის 40-მდე შუამდგომლობა, რომლებიც ადვოკატებმა სასამართლო გამოძიების დროს გამოკვეთილ ახალ გარემოებებთან დაკავშირებით დააყენეს.

გოგიჩაიშვილს ბრალად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ხულიგნობა, გიორგი ალხაზიშვილს კი მხოლოდ ხულიგნობა ედება.

საქმე ეხება წყნეთში 2009 წლის ივნისში, ირაკლი ბათიაშვილის შვილის ირინა ბათიაშვილის დაბადების დღის შემდეგ მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც დავით ლეჟავა ცივი იარაღით დაიჭრა. **ინტერპრესნიუსი**

ევროსასამართლოში გირგვლიანის საქმეს განიხილავენ

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვის დაწყების თარიღი სექტემბრის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. როგორც გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, შესაძლოა, სასამართლო პროცესი ცოცხალ რეჟიმში წარიმართოს, რაც ნიშნავს, რომ საქმის განხილვა მხარეთა მონაწილეობით მოხდება და სხდომები ღია იქნება.

"ევროსასამართლო საქმეებს, ძირითადად, დახურული ფორმატით, მხარეთა მონაწილეობის გარეშე იხილავს. ამ შემთხვევაში შეიძლება, ცოცხლად ჩატარდეს და ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ევროსასამართლოდან მივიღეთ წერილი, გვსურდა თუ არა, სხდომები ღია ყოფილიყო, რაზეც, ბუნებრივია, თანხმობა განვაცხადეთ. მათი გადასაწყვეტია, პროცესი როგორი ფორმატით წარიმართება," - აღნიშნა შავგულიძემ.

სანდრო გირგვლიანი

მისივე თქმით, საქართველოს მხარემ ევროსასამართლოს მოთხოვნილი მტკიცებულება არ წარუდგინა - საუბარია ოქროყანაში, ბადრი პარატკაციშვილის სახლის სათვალთვალო კამერით გადაღებულ მასალაზე, რომელსაც მოპასუხეები მტკიცებულებებში მიუთითებდნენ. "როდესაც ეს მტკიცებულება მოითხოვა ევროსასამართლომ, მათ არ გადაუგზავნეს. ეჭვი გვაქვს, რომ ამ მასალაში ჩანს ცნობილი სუფრის წევრების კავშირი ოქროყანაში მომხდარ დანაშაულთან. იმდენად ძვირფასი იყო მათთვის ეს მასალა, რომ ევროსასამართლოს საყვედური აიტანეს," - განაცხადა შავგულიძემ. ოჯახის ადვოკატის ინფორმაციით, ევროსასამართლოსგან ითხოვენ, საქართველოს ხელისუფლებას, მორალური კომპენსაციის სახით, გირგვლიანის ოჯახის სასარგებლოდ 300 ათასი ევროს გადახდა დაეკისროს. თუმცა, მთავარი მოთხოვნა უკავშირდება საქართველოს სამართალწარმოებაში საქმის ხელახალ დაბრუნებას და სამართლიანი შედეგის დადგომას.

გირგვლიანის ოჯახი საქართველოს ხელისუფლებას ევროკონვენციის ოთხი მუხლის - სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, სამართლიანი სასამართლო და დაცვის უფლება - დარღვევაში ედავება. სანდრო გირგვლიანი 2005 წლის 27 იანვარს, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოქროყანაში აიყვანეს და სასიკვდილოდ აწამეს. კუდ-ის ოთხი თანამშრომელი ალანია, აფციაური, ღაჭავა და ბიბილურიძე 2005 წელსვე დააკავეს, თუმცა პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე ჯერ სასჯელი გაუნახევრათ, ცოტა ხნის წინ კი პირობით ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

მკვლელობის მოტივი დაუდგენელია

ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი იმ მკვლელობის მოტივის შესახებ, რომელიც ცოტა ხნის წინ, როსტოვის ოლქში მოხდა და რომელმაც თავისი სისასტიკით გამოცდილი გამომძიებლებიც კი შოკში ჩააგდო. საუბარია ნიჟეგოროდის ოლქის სპეციალური დანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის, პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ჩუდაკოვის, მისი მეუღლისა და ორი შვილის მკვლელობაზე.

სწრაფი რეაგირების სპეციალური განყოფილების უფროსის დიმიტრი ჩუდაკოვისა და მისი ოჯახის წევრების ცხედრები შემთხვევითმა გამვლელებმა როსტოვიდან 15 კილომეტრის მოშორებით, გზატკეცილზე მდგარ დაცხრილულ ავტომანქანაში ნახეს. გარდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიყენებული უამრავი ჭრილობისა, გარდაცვლილებს მრავლობითი ჭრილობები დანითაც ჰქონდათ მიყენებული. მოკლულების ნივთები ავტომანქანიდან მოშორებით იყო მიმობნეული.

როგორც გაირკვა, 35 წლის დიმიტრი ჩუდაკოვი, მისი 31 წლის მეუღლე, 7 წლის ქალიშვილი და 11 წლის ვაჟი თავდამსხმელებმა მაშინ მოკლეს, როცა პოდპოლკოვნიკი ოჯახთან ერთად შვებულებიდან სახლში ბრუნდებოდა.

სამართალდამცველებმა დიმიტრი ჩუდაკოვის ავტომანქანაზე ცეცხლის კვალიც აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, მკვლელობის შემდეგ, თავდამსხმელებმა ცხედრების დაწვა გადაწყვიტეს და ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს, თუმცა, ცეცხლი მალევე ჩაქრა.

მთელი ოჯახის მკვლელობის ზუსტი მოტივი გამოძიებას ჯერჯერობით გამოკვეთილი არ აქვს, თუმცა ამ ეტაპზე არსებობს ორი სავარაუდო ვერსია, რომელთაგან ერთი დიმიტრი ჩუდაკოვის საქმიანობას უკავშირდება, მეორე კი ძარცვის მიზნით მომხდარ თავდასხმას. მკვლელობის გახსნას ართულებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს დანაშაულის თვითმხილველი. არადა, იმ ადგილთან ახლოს, სადაც მკვლელობა მოხდა, ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი მდებარეობს, ასევე, იქვე ახლოს, გზის პირას ფუნქციონირებს სასადილო გამვლელებისთვის.

როგორც სამართალდამცველები განმარტავენ, დიმიტრი ჩუდაკოვს კონტრტერორისტულ ოპერაციებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, მას მივლინებით ხშირად უშვებდნენ სამხრეთ კავკასიაში და იქ ჩატარებული სპეცოპერაციების მონაწილე იყო. სამართალდამცველების განცხადებითვე, დიმიტრი ჩუდაკოვის ხელმძღვანელობით, დაკავებულია ბევრი საშიში, შეიარაღებული დაჯგუფება და ასევე მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გათავისუფლებულია ბევრი მძევალი.

"ამ მკვლელობით გაოგნებულები არიან ყველაფრის მნახველი და გამოცდილი გამომძიებლები და კრიმინალისტები. საქმე ისაა, რომ თავდამსხმელებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ჩუდაკოვისა და მისი ოჯახის წევრებისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობები. თავდამსხმელებმა დანაც აქტიურად გამოიყენეს. გარეგნული დათვალიერებით, 7 წლის გოგონას სხეულზე დანით მიყენებული 20-ზე მეტი ღრმა ჭრილობა ვნახეთ," - აცხადებენ სამართალდამცველები.

დიმიტრი ჩუდაკოვისა და მისი ოჯახის წევრების მკვლელობის საქმე გამოსაძიებლად რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებულ საგამოძიებო კომიტეტს გადაეცა.

უკვე დადგენილია, რომ იმ ადგილას, სადაც სწრაფი რეაგირების სპეციალური განყოფილების უფროსი და მისი ოჯახის წევრები გამოასალმეს სიცოცხლეს, ბოლო პერიოდში სამი ანალოგიური მკვლელობა მოხდა და ჯერჯერობით სამივე დანაშაული გაუხსნელია. ჯერ კიდევ დაუდგენელია ამ დანაშაულების მოტივი. რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სამივე საქმე დიმიტრი ჩუდაკოვისა და მისი ოჯახის წევრების მკვლელობის საქმესთან გაერთიანდება.

როგორც რუსული პრესა წერს, პირველი მკვლელობა 2008 წლის ივლისში მოხდა. მაშინ თავდამსხმელებმა ავტომანქანაში შეყვარებული წყვილი ჩაცხრილეს. როგორც ამ შემთხვევაში, ასევე დანარჩენ ორ შემთხვევაშიც, გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა ძარცვის მიზნით არ მომხდარა, რადგან თავდამსხმელებს მსხვერპლის ნივთებისთვის ხელი არ უხლიათ.

უკვე დადგენილია, რომ, როგორც დიმიტრი ჩუდაკოვისა და მისი ოჯახის წევრების მკვლელობისას, დანარჩენ სამ შემთხვევაშიც თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღი "საიგა-410" გამოიყენეს.

დიმიტრი ჩუდაკოვის ოჯახის ახლობლები და ნათესავები დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელობა სპეცრაზმელის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

სამართალდამცველები მოქალაქეებს საქმის გახსნაში დახმარებას სთხოვენ და მომხდართან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაციისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის გაცემისთვის მზად არიან.

ობამას რთული ბრძოლა მოელის

ამერიკის პრეზიდენტი კონგრესში პროგრამული სიტყვით გამოვიდა

მარიკა იაკვილი

ჯანდაცვის სისტემის რეფორმას "დემოკრატები" მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. ამ საკითხზე დიდხანს და სერიოზულად იმუშავა ახლახან გარდაცვლილმა გავლენიანმა სენატორმა ედვარდ კენედიმაც, თუმცა მისი დამტკიცებისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში უკვე ვეღარ მონაწილეობს. დღეს, ობამას ხელისუფლებაში მოსვლისა და კონგრესში "დემოკრატების" დომინირების პირობებში, რეფორმის განხორციელება რეალური ხდება. მისი გატანა მოქმედი პრეზიდენტის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად ობამასთვის ღირსების საქმეს წარმოადგენს. კონგრესში "დემოკრატების" (ან თუნდ "რესპუბლიკელების") უმრავლესობის ყოფნა ცალსახად მათი ყველა პროექტის უპრობლემოდ დამტკიცების წინაპირობა არ არის, ამიტომ მომხრეების მოპოვება ოპონენტებს შორისაც უნდა მოახერხონ. საზოგადოებაში არსებული განწყობის გამო ამ სიახლის გატანას ჯერ კიდევ სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება.

პრეზიდენტის კონგრესში გამოსვლას ბევრი ობამასთვის გადამწყვეტად მიიჩნევდა და ვარაუდობდა, რომ სწორედ ამ სიტყვას უნდა განესაზღვრა ქვეყნის ლიდერის პოლიტიკური ბედი. ასეთი მოლოდინის მიზეზი კი ის იყო, რომ ჯანდაცვის სფეროს რეფორმირების აუცილებლობის შესახებ გამართული ცხარე დებატების დროს პრეზიდენტის რეიტინგი რამდენადმე დაეცა.

ანალიტიკოსებმა ობამას გამოსვლას ენერგიული და დამაჯერებელი უწოდეს. პრეზიდენტმა ჯანდაცვის სფეროში რეფორმის განხორციელების პირველ, 1943 წლის მცდელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამერიკა ვერ მისცემს თავს უფლებას, ამ სფეროში კიდევ ერთი წარუმატებლობა განიცადოს. ამის გამო პრეზიდენტმა "დემოკრატებსა" და "რესპუბლიკელებს" თანამშრომლობისა და პოლიტიკური თამაშების შეწყვეტისკენ მოუწოდა, სადაც ფსონი ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლეა.

ობამას მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის რეფორმის მთავარი "პრობლემა" სამედიცინო დაზღვევის ე.წ. "საზოგადოებრივი შემადგენელია".

დაზღვევის ამ ფორმის მიხედვით, კერძო სადაზღვევო კომპანიებს კონკურენციას გაუწევს სახელმწიფო, რომელიც ნაკლებად შეძლებულ მოქალაქეებს იაფ დაზღვევას შესთავაზებს. აღსანიშნავია, რომ რეფორმის ფარგლებში ობამას ასეთი ინიციატივა "რესპუბლიკელების", ლობისტებისა და სადაზღვევო კომპანიების უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავრი მიზეზია.

თავის გამოსვლაში ობამამ რეფორმის რამდენიმე ძირითადი პარამეტრი დაასახელა. მისი თქმით, ყველა ამერიკელს უნდა ჰქონდეს დაზღვევის ძირითადი გეგმა, თუმცა ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ თავს ამის უფლება მისცენ, ნაწილობრივ სამთავრობო გრანტებს მიიღებენ. გარდა ამისა, დამქირავებლებმა თანამშრომლები სამედიცინო დაზღვევით უნდა უზრუნველყონ ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაზღვევის დაფარვაში დიდი წვლილი შეიტანონ. გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიები ვეღარ შეზღუდავენ კონკრეტული შემთხვევების დროს გამოსაყოფი თანხის რაოდენობას.

პრეზიდენტი გამოსვლაში, რასაკვირველია, პროექტის ღირებულებასაც შეეხო, მით უფრო, რომ რეფორმის მოწინააღმდეგეთა აზრით, ის გადასახადის გადამხდელებს მძიმე ტვირთად დააწვებათ.

ობამას განცხადებით, სადაზღვევო პროგრამის განხორციელება დამატებით მხოლოდ 9 მილიარდი დოლარი დაჯდება, რომელსაც ქვეყანის ბიუჯეტი უახლოესი 10 წლის განმავლობაში გაიღებს და ეს თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე ერაყისა და ავღანეთის ომებზე დახარჯული ფული. გარდა ამისა, ობამას თქმით, ქვეყანას ეს უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე მდიდარი ამერიკელებისთვის გადასახადების შემცირება, რასაც კონგრესმა წინა ადმინისტრაციის მუშაობის დასაწყისში დაუჭირა მხარი. მისივე განცხადებით, თანხის დიდი ნაწილი ის ფული იქნება, რომელიც უკვე იხარჯება, თუმცა არსებული ჯანდაცვის სისტემის მიზეზით - არაეფექტურად. აქედან გამომდინარე, ობამა დარწმუნებულია, რომ რეფორმა ბიუჯეტში დეფიციტს არ გამოიწვევს.

"დემოკრატებისგან" განსხვავებით, ბარაკ ობამას გამოსვლას ენთუზიაზმის გარეშე უსმენდნენ "რესპუბლიკელები", ხოლო როდესაც ქვეყნის ლიდერმა განაცხადა, რომ რეფორმა არ შეიცავს გარანტიებს არალეგალური იმიგრანტებისთვის, ერთ-ერთმა კონგრესმენმა მას ხმამაღლა უწოდა მატყუარა.

გამოთქმულ ბრალდებას პრეზიდენტი არ აუღელვებია და გამოსვლის განმავლობაში მან "რესპუბლიკელებსა" და "დემოკრატებს" რეფორმაზე ერთობლივი მუშაობისკენ რამდენჯერმე მოუწოდა. ობამამ ისიც აღნიშნა, რომ მზად არის, ნებისმიერ დროს მოისმინოს და მიიღოს ამ საკითხის შესახებ სერიოზული წინადადებები და მისი კარი ყველასთვის ღიაა.

ბარაკ ობამას გამოსვლას "რესპუბლიკელები" მალევე გამოეხმაურნენ. ჯონ მაკკეინმა ობამას გამოსვლის შემდეგ "სი-ენ-ენ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ პოლიტიკური ოპონენტები შეთანხმებას შეძლებენ. "რესპუბლიკელმა" ჩარლზ ბუსტანიმ კი აღნიშნა, რომ "რესპუბლიკელები" მოხარულნი არიან, რომ პრეზიდენტი კონგრესში იხილეს."

ბუსტანის განცხადებით, "რესპუბლიკელები" ყოველთვის მზად არიან, პრეზიდენტთან დაზღვევის გაიაფების საკითხზე იმუშაონ, რათა ის ყველა ამერიკელისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მისი თქმით, ერთობლივი მუშაობის შედეგად შესაძლებელი იქნება, სამედიცინო მომსახურება გაიაფდეს და ამავდროულად კვლავ ხარისხიანი იყოს.

თუმცა ობამას მოწინააღმდეგე ამერიკელებმა ქვეყნის მეთაურის მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის რეფორმის გეგმა დედაქალაქის ქუჩებში მასობრივი მსვლელობით გააპროტესტეს. პრეზიდენტის რეზიდინციიდან კაპიტოლიუმამდე მანძილი ათობით ათასმა ამერიკელმა ლოზუნგებით გაიარა: "დავიბადე თავისუფალ ადამიანად, მაგრამ გადასახადები მკლავს" და "ობამას მზრუნველობა ავადმყოფად მაქცევს".

მანიფესტანტები ობამას ადმინისტრაციას "უკონტროლო დანახარჯებისთვის" გმობდნენ. ისინი ამ ტერმინით ჯანდაცვისთვის გამოყოფილ (თუ მომავალში გამოსაყოფ) სახსრებს, აგრეთვე საბანკო სისტემისა და საავტომობილო ინდუსტრიის ფინანსურ მხარდაჭერას მოიხსენიებენ.

ჯანდაცვის სფეროზე ყოველწიურად 2.2 ტრილიონი დოლარი ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 16 პროცენტი იხარჯება. აქციის მონაწილეებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სამთავრობო სქემის განსახორციელებლად საგადასახადო შემოსავლების მიმართვა ინფლაციასა და ეკონომიკის კრახს გამოიწვევს.

მსვლელობა, რომელში მონაწილეობისთვისაც მოსახლეობა სხვადასხვა შტატებიდან ჩავიდა, მოძრაობა FreedomWorks-ის მიერ იყო ორგანიზებული. ეს ორგანიზაცია გადასახადების შემცირებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირებისთვის იბრძვის.

მსვლელობის პარალელურად ბარაკ ობამა მინეაპოლისში მიტინგზე გამოდიოდა და მოსახლეობას თავისი გეგმების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. 15-ათასიან აუდიტორიასთან გამოსვლისას ამერიკელმა ლიდერმა განაცხადა, რომ საშინაო პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელებისთვის ბრძოლას თავს არ დაანებებს. "სტატუს კვოს შენარჩუნებას არ დავთანხმდები," - განაცხადა პრეზიდენტმა და დაამატა, რომ ვითარება შეუცვლელი ვერ დარჩება.

ობამამ მიტინგზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მზად არის რეფორმის შესახებ წინადადებები მთელი პოლიტიკური სპექტრისგან მოისმინოს. თუმცა მან ისიც დაამატა, რომ დროს არ დაკარგავს ადამიანებზე, რომელთა აზრითაც გეგმის გაუმჯობესებას მისი საერთოდ გაუქმება ჯობს.

ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის დაზღვევა სართოდ არა აქვს 46 მილიონ ამერიკელს, ხოლო კიდევ 25 მილიონი დაზღვევის არასრული ვარიანტით სარგებლობს. ახალი კანონპროექტის თანახმად, რეფორმის განხორციელების შემთხვევაში დაზღვევა მოსახლეობის 97 პროცენტს შეეხება.

ძალადობის მორიგი ტალღა ჩრდილოეთ კავკასიაში

ივა ჭილაკაძე

ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში ძალადობა არ კლებულობს და არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებები სამართალდამცავებს, შეიძლება ითქვას, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ. წინასწარ ვერავინ გამოიცნობს, რომელ დასახლებულ პუნქტსა თუ გზაზე მოხდება თავდასხმა შინაგან საქმეთა ორგანოებისა თუ უშიშროების თანამშრომლებზე. ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში რამდენიმე აფეთქება და შეტაკება მოხდა.

პარასკევს საღამოს ნაზრანში ავტომობილი "ლადა პრიორა" საგზაო საპატრულო სამსახურის პოსტს შეეჯახა. დაიღუპა ერთი და დაშავდა შვიდი ადამიანი. დაშავებულებიდან ხუთი მილიციელია, ხოლო ორი - სამოქალაქო პირი, დაღუპული ადამიანიც მშვიდობიანი მოქალაქეა. როგორც აღმოჩნდა, მანქანა მოსკოვში იყო გატაცებული, მის საჭესთან კი ტერორისტი თვითმკვლელი იჯდა. მილიციელებმა მათკენ მიმავალი ავტომანქანა შენიშნეს და მას ცეცხლიც გაუხსნეს, მაგრამ ვერ შეაჩერეს. აფეთების ძალამ ტროტილის ეკვივალენტით 50-დან 70 კილოგრამამდე შეადგინა, ასაფეთქებელი ნივთიერება გაძლიერებული იყო რკინის დამაზიანებელი საგნებით. საპატრულო პოსტის გარდა, რამდენიმე საცხოვრებელი სახლიც დაზიანდა.

იმავე ნაზრანში შაბათს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი აზამატ ბერსანოვი მოკლეს. თავდასხმა, დაახლოებით, 16:30 საათზე დაღუპულის სახლთან ახლოს მოხდა. მკვლელებმა ბერსანოვს ავტომატური იარაღიდან ესროლეს, შემდეგ კი ვაზ-2114 მარკის მანქანით მიიმალნენ. მათ ეძებენ, ამოქმედებულია გეგმა "ვულკან-5". შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ბერსანოვს მაყუჩიანი იარაღიდან ესროლეს, რადგან სროლის ხმა არავის გაუგონია.

შაბათს დაღესტნის დედაქალაქ მახაჩყალის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ სახლში მილიციელებმა ბოევიკთა ოთხკაციანი ჯგუფისთვის ალყის შემორტყმა მოახერხეს. აროფიციალური შეიარაღებული ბანდის წევრები მოგვიანებით გაანადგურეს, მათ შორის ერთი ქალი აღმოჩნდა. სამართალდამცავთა მხრიდან არავინ დაშავებულა. დაღესტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ლიკვიდირებული ბოევიკები მახაჩყალის პროკურორის მოადგილის მკვლელობაში, აგრეთვე ყიზილ-იურტში მილიციის თანამშრომლებზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. მაგრამ იქვე ამ ინფორმაციის გამომრიცხავი სხვა ცნობაც ვრცელდება - ბოევიკთა ვინაობა დადგენილი არ არის. საინტერესოა, როგორ არიან ისინი ეჭვმიტანილნი კონკრეტულ დანაშაულებში, თუ მათი ვინაობა უცნობია.

წინა საღამოს, პარასკევს, მახაჩყალაშივე მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ სალონში დააკავეს ქალი, გვარად სეიდოვა, რომელსაც აღმოუჩინეს პისტოლეტი 30 ტყვიით, ხელყუმბარები და ფული 30 ათასი რუბლის ოდენობით რუსულ და უცხოურ ვალუტაში. სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ ეს ქალი ტერაქტს ამზადებდა. უცნობია, აქვს თუ არა ამ დაკავებას კავშირი შაბათ დილას განხორციელებულ სპეცოპერაციასთან.

შაბათ დილას აფეთქება მოხდა გროზნოშიც, ერთ-ერთი გიმნაზიისა და სტადიონის მახლობლად. თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია სამი დაღუპული მილიციელის, აგრეთვე, სხვა წყაროების თანახმად, გიმნაზიის დაღუპული მცველებისა და დაშავებული ბავშვების შესახებ. სხვადასხვა ინფორმაციებში აფეთქების ადგილად დასახელებული იყო სხვადასხვა გიმნაზიები და სხვადასხვა ქუჩები.

მოგვიანებით ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა განმარტა, რომ აფეთქების შედეგად მხოლოდ სამი მილიციელია დაჭრილი. მათ ტერორისტი თვითმკვლელის დაკავება სცადეს, რომელმაც მილიციის პატრულის მიახლოებისას თავი აიფეთქა. ორი მილიციელის მდგომარეობა მძიმეა, სხვა არავინ დაშავებულა.

იგივე ჩეჩნეთში, ქალაქ არღუნში თავდასხმა მოხდა მილიციელებზე, რომლებიც ქუჩაში მორიგეობდნენ. თავდასხმა განხორციელდა კვირას გამთენიისას, ადგილზე მოკლეს ორი მილიციელი, სერჟანტი და ზემდეგი.

სავარაუდოა, რომ სამართალდამცავები ამ ტერაქტებს უპასუხოდ არ დატოვებენ, თუმცა ალბათ იმავე რეჟიმში გაგრძელდება მილიციელებზე ნადირობა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან.

საუდის არაბეთში სასულიერო მოძღვარს ურწმუნოთა სიკვდილისთვის ლოცვა არ სურს

მარიკა იაშვილი

შეიხი სალმან ავდა, საუდის არაბეთში ცნობილი ისლამისტი სასულიერო მოძღვარი, მუსლიმებს მოუწოდებს, ურწმუნოთა განადგურებისთვის აღარ ილოცონ.

მსგავსი ვედრება ხშირად გაისმის მუსლიმთა ტრადიციული პარასკევის ლოცვის ბოლოს, რაც, კრიტიკოსთა აზრით, ახალგაზრდებისთვის უკიდურესი რადიკალიზმის მაგალითის მიმცემია.

როგორც შეიხი სალმან ავდა აცხადებს, ეს ლოცვები შარიათთან წინააღმდეგობაში მოდის, თუმცა, მისივე თქმით, ისინი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მუსლიმთა ინტერესები ირღვევა, ამიტომ მისმა მოწოდებებმა შეიძლება არ მოახდინოს გავლენა იმ რადიკალებზე, რომლებიც ისრაელისა და აშშ-ს წინააღმდეგ იბრძვიან.

არაბულ ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც პარასკევის ლოცვა მთავრდება იმამის მოწოდებით გაანადგურონ "კიაფირები" ანუ ურწმუნოები, რაზეც მასა პასუხობს "ამინ" ანუ "ჭეშმარიტად!"

სხვა რელიგიებისა და კულტურის წარმომადგენლების მიმართ მსგავსი მტრული დამოკიდებულების სახალხო დემონსტრირებას, კრიტიკოსთა აზრით, ახალგაზრდობაზე დიდი გავლენა აქვს.

სწორედ ეს საკითხი იყო განხილვის მთავარი თემა 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ - იორკში მომხდარი ტერაქტების შემდეგ დაწყებულ დებატებზე, რომელზეც ახალგაზრდობისთვის ისლამის სწავლების სისტემის რეფორმირებაზე მსჯელობდნენ.

აშშ-ში 8 წლის წინათ განხორციელებულ თავდასხმებში 19 მუსლიმი მონაწილეობდა, რომელთა უმეტესობა საუდის არაბეთიდან იყო.

საუდის არაბეთის მოსახლეობისთვის რელიგიის რეფორმირების საკითხი მწვავედ დგას, რადგან ქვეყანაში არსებული ისლამური რწმენის ინტერპრეტაცია ქადაგებს მტრულ დამოკიდებულებას სხვა რელიგიებისა და რწმენების მიმართ, მათ შორის მუსლიმური შიიტიზმის მიმართაც.

საუდის არაბეთში მცხოვრები შიიტები მუდმივად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სუნიტებისგან, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, სასტიკ დისკრიმინაციას განიცდიან.

შეიხი სალმანი ძალზე ცნობილი და პატივსაცემი სასულიერო პირია, მუსლიმ მქადაგებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი და მისმა მოწოდებამ, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც, მორწმუნეებზე გავლენა უნდა იქონიოს.

როგორც სალმანი აცხადებს, ლოცვა არამუსლიმთა განადგურების შესახებ წინააღმდეგობაში მოდის უფლის სიტყვებთან ანუ შარიათის კანონთან.

თუმცა ისეთი ვითარებში, როდესაც ავღანეთში, ერაყსა და პალესტინის ტერიტორიებზე მუსლიმთა ინტერესები ილახება და ჯიჰადი - საღმრთო ომი გამართლებულად მიიჩნევა, შეიხის მოწოდებები მუსლიმებზე გავლენას თითქმის არ მოახდენს.

ამ ადამიანებისთვის უპირველესი პრობლემა არა ლოცვების რეფორმირება, არამედ უსამართლო მსოფლიოა, რომელშიც, მათი აზრით, მუსლიმებს უცხოური იმპერიები ჩაგრავენ.

რევიუ

ვენეცია პოლიტიკური აქცენტებით და ქართული ფილმის წარმატება

პირველი გვერდიდან

ფილმის სცენარი ზაირა არსენიშვილს ეკუთვნის. ნუცა ალექსი-მესხიშვილისთვის ეს მესამე ფილმია, თუმცა პირველი დამოუკიდებელი კინოპროექტი.

"ბედნიერება" რამდენიმე თვის წინ თბილისშიც იხილეს, თუმცა ეს გახლდათ დახურული ჩვენება კრიტიკისთვის. ფილმი ნანახი აქვს **კინომცოდნე ნინია კაკაბაძესაც:** "ვენეციის ფესტივალის ნებისმიერ პროგრამაში მოხვედრა ჩვენთვის წარმატებაა. მოგეხსენებათ, რომ ეს ფესტივალი ერთ-ერთია სამი უმაღლესი რანგის კინოფესტივალებს შორის, ბერლინისა და კანის ფესტივალებთან ერთად. ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმის "ბედნიერება" ცალკე მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამაში დამოუკიდებლად მოხვედრა და წარმატება - ესეც ქრთული კინოსთვის დიდი წარმატებაა. ფილმს რაც შეეხება: მისი ოფიციალური დასახელება არის Felicita. ფილმი თანამედროვე საქართველოსთვის ყველაზე პრობლემატურ საკითხზეა - ქართველი დედების ემიგრაცია, აქ დატოვებული საკუთარი შვილები და იქ სხვისი შვილების მოვლა-პატრონობა. საინტერესო ისაა, რომ ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი ტრაგიკომიკური ჟანრისაა, მიუხედავად ფილმში დასახული აქტუალური და მტკივნეული პრობლემისა. 30 წუთის განმავლობაში თხრობა იუმორის თანხლებით მიდის და მაყურებელს ყველა ეპიზოდზე ეცინება. ჩემი აზრით, ამიტომაც გახდა "ბედნიერება" საინტერესო, რთულია ასეთი საკითხის იუმორით მოტანა და ნუცამ ეს საკმაოდ წარმატებით მოახერხა."

ვენეციის კინოფესტივალი ათი დღის განმავლობაში მუშაობდა, კინოდარბაზებში ასობით ფილმი ნახეს, რომელთაგან ჟიურიმ ხოლოდ რამდენიმე ამოარჩია. წელს ვენეციის ფესტივალის ფილმებს რეჟისორ ენგ ლის ხელმძღვანელობით შედგენილი ჟიური აფასებდა. ამ რეჟისორს თავადვე აქვს მიღებული ორი "ოქროს ლომი" - 2005 წელს "კუზიანი მთისთვის", ხოლო 2007 წელს Lust, Caution-ისთვის. მის გარდა ჟიურის შემადგენლობაში კიდევ ოთხი რეჟისორი იყო: სერგეი ბოდროვი, ლილიანა კავანი, ჯო დანტე და ანუგარ კაშიაპი. რეჟისორების ხუთეულს კი მსახიობი სანდრინ ბონერი და მუსიკოსი ლუჩანო ლიგაბუეს დუეტი ემატებოდა.

ქალები მამაკაცების გარეშე

ვენეციის კინოფესტივალის მთავარი პრიზი, "ოქროს ლომი" ებრაელი რეჟისორის, სამუელ მაოზის ფილმმა "ლიბანი" მიიღო. სხვათა შორის, ის რომ, "ლიბანი" პრიზის გარეშე არ დარჩებოდა, ფესტივალის პირველივე დღეებში გახდა ცხადი. როდესაც ფილმის ჩვენება დასრულდა, მაყურებელმა გადამღებ ჯგუფს ფეხზე ადგომა სთხოვა, რის შემდეგაც აპლოდისმენტები 15 წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ფილმში მოქმედება 1982 წელს, ისრაელის ჯარების ლიბანის ტერიტორიაზე შეჭრის ფონზე ვითარდება, თუმცა მაყურებელი ვერც ბრძოლის სცენებს ნახავს და ვერც დანგრეულ შენობებს. მთელი ფილმის განმავლობაში კადრში მხოლოდ ტანკის სალონი და მისი ოთხი ბინადარი ჩანს, ოთხი ებრაელი ჯარისკაცი, რომელთათვისაც გარე სამყაროსთან კონტაქტის ერთადერთი საშუალება სამიზნეა.

ფილმმა საკმაოდ სერიოზული შეფასებები მიიღო. კრიტიკოსები მას ხან პირველყოფილი შიშების ავადმყოფურ კონცენტრაციას უწოდებდნენ, ხან კინოს ისტორიაში ყველაზე ანტიგმირულ ფილმს ომზე. თუმცა ეს შეფასებები თავად მაოზისთვის ნაკლებად საინტერესო იყო, რადგან მან ფილმი მხოლოდ საკუთარ ემოციებზე დაყრდნობით გადაიღო. 1982 წელს იგი რიგითი ებრაელი მოხალისე იყო და საკუთარი თვალით იხილა ის, რასაც მისი ფილმის გმირები ტანკის სამიზნედან უყურებენ. "ამ ჯილდოს ყველა იმ ადამიანს ვუძღვნი, ვინც ომიდან ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა", - განაცხადა რეჟისორმა დაჯილდოების ცერემონიალზე და როგორც მოგვიანებით ფესტივალის პრესა აღნიშნავდა, ამ მიძღვნაში იგი საკუთარ თავსაც გულისხმობდა.

მნიშვნელობით მეორე ჯილდო - "ვერცხლის ლომი" საუკეთესო რეჟისურისთვის ირანელმა მხატვარმა და რეჟისორმა შირინ ნეიშატმა მიიღო, რომელმაც ფესტივალზე გერმანიაში გადაღებული დრამა "ქალები კაცების გარეშე" წარმოადგინა. ფილმის მთავარი გმირები ოთხი სხვადასხვა სოციალური ფენის ირანელი ქალია, რომლებიც 1953 წლის ირანის ხუნტის ფონზე საკუთარი ცხოვრების შეცვლას ცდილობენ. "ამ ფილმის მთავარი ადრესატი ირანის ამჟამინდელი ხელისუფლებაა, რომელსაც ვთხოვ ქვეყნის მოსახლეობას მისცეს ის, რაც პირველ რიგში ეკუთვნით - პიროვნების უფლებები, თავისუფლება და დემოკრატია", - ასეთი იყო შირინ ნეიშატის სამადლობელო სიტყვის ბოლო ფრაზა.

როდესაც დაჯილდოვების ცერემონიალზე მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის პრიზი ბრიტანელ მსახიობ კოლინ ფერტს გადასცეს, დარბაზი რამდენიმე წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს - აპლოდისმენტი კი ცხადია მთლიანად მსახიობს და მის შესანიშნავ როლს ეკუთვნოდა ფილმში "მარტოხელა კაცი". კილინ ფერტმა დიზაინერ ტომ ფორდის სადებიუტო ფილმში ჰომოსექსუალი მამაკაცის როლი შეასრულა, რომელიც პარტნიორის გარდაცვალებას გლოვობს. სხვათა შორის, კრიტიკამ ტომ ფორდის ნამუშევარიც საკმაოდ თბილად მიიღო. "მარტოხელა კაცის" სცენარის ავტორიც ცნობილი დიზაინერი გახლავთ, რომელმაც არ დამალა, რომ ფილმში აღწერილი დეტალები თავისი ცხოვრებიდანაც აიღო.

ქალის მთავარი როლისთვის კი რუსი მსახიობი ქსენია რაპაპორტი დააჯილდოეს. მან მთავარი როლი შეასრულა იტალიელი ჯუზეპე კაპოტონდის ფილმში "ორმაგი საათი". ფილმმა ჩვენების დასრულებისთანავე მიიღო შეფასება - ნუარ, რომელიც სიყვარულისა და მკვლელობის კვალდაკვალ ვითარდება და ნელ-ნელა მისტიკაში იზრდება. ამერიკელი ტოდ სოლონზი საკუთარი ფილმის "ცხოვრება ომიანობის დროს" სცენარისათვის დააჯილდოვეს, ხოლო ოპერატორის ნამუშევრისთვის სილვი ოლივიე ჟაკ ვან დორმალის ფილმისთვის "მისტერ არავინ". ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი თურქული წარმოშობის გერმანელი რეჟისორი ფატიჰ აკინი გახდა ფილმისთვის "სულიერი სამზარეულო", მარჩელო მასტროიანის სახელობის ჯილდო მიკელე პლაჩიდოს "დიდ სიზმარში" შესრულებული როლისთვის იტალიელ მსახიობ ჟასმინ ტრინკეს გადასცეს, ხოლო საუკეთესო დებიუტანტ რეჟისორად ფილიპინელი პეპე დიოკნო დაასახელეს.

ბუკერის მოლოდინში...

ერთი თვე დარჩა, სანამ მსოფლიო ლიტერატურული ბომონდი 2009 წლის ბუკერის ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულის ვინაობას შეიტყობს. სამაგიეროდ უკვე სამი დღეა, რაც ამ დიდი ბრიტანული ლიტერატურული პრემიის ნომინანტთა მოკლე ჩამონათვალი ყველასათვის ცნობილია. დასავლური მედიის ყურადღებას იმსახურებს წ.ე. "შორთ ლისტის" ვარსკვლავების სიმრავლე და აღნიშნავენ, თუ აქამდე ცოცხალ ნობელიანტებს ბუკერი არ სნაყლობდა, დღეს თურმე ეს ტრადიცია ირღვევა.

ამ რემარკაში უპირველეს ყოვლისა ალბათ ჯონ მაქსველ კუტზეე იგულისხმება (John Maxwell Coetzee), რომლის პროზასაც ამ სათაურებით ვიცნობთ "შემოდგომა პეტერბურგში", "რკინის საუკუნე", "ბარბაროსების მოლოდინში", "ელიზაბედ კოსტელო" და ა.შ. ის, 2003 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი და ბუკერის ორგზის მფლობელია (1983-1999), მიუხედავად ამისა, ისევ ელოდება თავის მესამე ბუკერს და ამჯერად უკვე რომანისთვის Summertime. ეს რომანი გახლდავთ მესამე ნაწილი ავტობიოგრაფიული ტრილოგიისა. მანამდე იყო Boyhood და Youth.

ჯონ მაქსველ კუტზეე

ნომინანტთა საბოლოო ჩამონათვალში კიდევ ორი უკვე აღიარებული მწერალი აღმოჩნდა. ანტონია ბაიეტი, რომელიც ბუკერის 1990 წლის ლაურეატია და სარა უოტსონი, ბელეტრისტიკის პოპულარული მწერალი, აქამდე უკვე ორჯერ ნომინირებული ბუკერის პრემიაზე, თუმცა ჯერ ისევ მოლოდინში.

ბაიეტი მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად ცნობადია მოთხრობათა კრებულებით. განსაკუთრებით იმ ტექსტებით, რომელთა ეკრანიზაციაც შედგა. ერთ-ერთ მის პერსონაჟს გვინეტ პელტროუც კი ანსახიერებს. ამჯერად ბუკერისთვის მორიგი რომანით იბრძვის "The Children's Book" პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ამბებს აერთიანებს. ეს სწორედ ის დროა როცა ბრიტანეთში რამდენიმე, უკვე საკულტო საბავშვო წიგნი იწერება - "პიტერ პენი" და "ქარი ტირიფებში".

სარა უოტსონი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ბუკერს ჯერ არ ფლობს, თუმცა ორჯერ ჰქონდათ ამის იმედი მას და მის თაყვანისმცემლებს. ამჯამად ბუკერს ელის მისი ახალი წიგნი The Little Stranger. ამ ახალ ნამუშევარში უოტერსს აღარ იტაცებს ერთი სქესის, განსაკუთრებით კი მანდილოსნების სასიყვარულო ისტორიები და ურთიერთობათა დეტალები. სამაგიეროდ გოთიკურ ლიტერატურას იკვლევს და მის სამყაროშიც იკარგება. ბრიტანული პრესა აღნიშნავს, რომ 2009 წლის ბუკერის ნომინანტთა შორის ყველაზე უკეთ სწორედ უოტსონის ახალი რომანი იყიდება. სარა უოტსონის ამ რომანის შესახებ ერთ-ერთი დადებითი რეცენზია "გარდიენში" დაიბეჭდა. სტატიის ავტორი გახლდათ ჰილარი მენტლი. საინტერესო ისაა, რომ ეს ქალბატონიც ბუკერის მომლოდინეთა შორის აღმოჩნდა. მისი პროზაული ტექსტი თომას კრომველზეა, მეთექვსმეტე საუკუნის ისტორიის მნიშვნელოვან პერსონაჟზე. სწორედ ეს ნაწარმოები აღმოჩნდა წინასწარი რეიტინგების მიხედვით კრიტიკოსთა ფავორიტი. კიდევ ერთი ნომინირებულის ნაწარმოები შეიძლება ისტორიული პროზის კონტექსტში დავინახოთ. საიმონ მოუერის The Glass Room. ამ შემთხვევაში მოქმედება მიმდინარეობს ჩეხეთში მეორე მსოფლიო ომის დროს.

2009 წლის ბუკერის პრემიის ნომინანტთა ნუსხას ასრულებს სხვებზე არანაკლებ ცნობილი მწერლი, - პოეტი და ლიტერატორი ადამ ფულდსი (რომანისთვის "გაცოცხლებული ლაბირინთი" - The Quickening Maze). მისი წიგნის მთავარი გმირი მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი პოეტი ჯონ კლერია, ადამიანი, რომელმაც ნიჭიერებით თავის დროზე მოხიბლა ლონდონის ლიტერატურული წრე, თუმცა სიცოცხლე გონებაჩამორჩენილთა თავშესაფარში გაატარა. კლერი ხელმეორედ მეოცე საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს...

დასავლური მედია ერთ დასკვნამდე მივიდა. გასულ წლებთან შედარებით "შორთ ლისტი" მოულოდნელობებითაა აღსავსე: ის ისტორიულ-ლიტერატურულ ჟანრს ინარჩუნებს და არა ტრადიციულად პოლიტიკურს. მთლიანობაში ძალიან ინგლისურია, ამჯერად რევერანსი არ გაუკეთებიათ უწინ ბრიტანეთის კოლონიად არსებული ქვეყნებისთვის. აღნიშნავენ, რომ სამხრეთ აფრიკული წარმოშობის კუტზეეც არ გამოურჩევიათ წარმომავლობის გამო, ის ბრიტანელი მწერალია და თანაც მისი წიგნიც ერთი დიდი მითოლოგიზირებული ამბავია მწერლის შესახებ. ვინ გახდება წლევანდელი წლის ბუკეროსანი 6 ოქტომბერს გაირკვევა.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს №6 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.4-97; დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის კმ.1-70.2; ბოლნისი-სიონის მონასტერი-წუდრულაშენის საავტომობილო გზის კმ.1-11.7; ქვეში-ძეძვნარისი-ტანძიას საავტომობილო გზის კმ.1-8.7; ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზა – თამარისი-დარეჯანის სასახლეს საავტომობილო გზის კმ.1-1.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა – 2009-2010 წლის განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. მითითებული იქნას ობიექტის დასახელება). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გატანა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 14 სექტემბრიდან 2009 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, შესყიდვების სამმართველო.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 ეგზემპლიარად, დედანი და ასლი ცალ-ცალკე დალუქული კონვერტებით 2009 წლის 6 ოქტომბრის 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე და 2009 წლის 7 ოქტომბრის 9^{00} საათიდან 12^{00} საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეოთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
1 2 და ა.შ.					

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით)
1				
2				
და ა.შ.				

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდეციალური არ არის
1				
2				
და ა.შ.				

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოს სახე	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (მითითებული იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები)
1		
2		
და ა.შ.		

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 7.10.2009წ.)

13. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

14. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.92 გიზო ღლონტი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს №6 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.4-97; დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის კმ.1-70.2; ბოლნისი-სიონის მონასტერი-წულრულაშენის საავტომობილო გზის კმ.1-11.7; ქვეში-ძეძვნარისი-ტანძიას საავტომობილო გზის კმ.1-8.7; ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზა – თამარისი-დარეჯანის სასახლეს საავტომობილო გზის კმ.1-1.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა – 2009-2010 წლის განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. მითითებული იქნას ობიექტის დასახელება). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გატანა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 14 სექტემბრიდან 2009 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, შესყიდვების სამმართველო.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 ეგზემპლიარად, დედანი და ასლი ცალ-ცალკე დალუქული კონვერტებით 2009 წლის 6 ოქტომბრის 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე და 2009 წლის 7 ოქტომბრის 9^{00} საათიდან 12^{00} საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეოთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგა-რების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
საქართველოს ნაკრების მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა ვერაფრით ვერ მოიკიდა ფეხი "ბლექბერნში" და შესაძლოა კარიერა "მიდლსბროში" გააგრძელოს. ხიზანიშვილის ტრანსფერს "ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისიც მიესალმება.

"ბორო" ნამდვილად კარგი შანსია იმისთვის, რათა ზურაბმა საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინოს", - აღნიშნა ელერდაისმა..

27 წლის ქართველი მცველის "ბოროში" იჯარით გადასვლის შესახებ მიმდინარე კვირიდან დაიწყო საუბარი. ამის შესახებ "მიდლსბროს" თავკაცმა გარეტ საუთგეიტმაც გამოთქვა თავისი აზრი.

ბელგიის ნაკრები მწვრთნელის გარეშე დარჩა

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში სომხეთის გუნდთან განცდილი მარცხის შემდეგ ბელგიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ფრანკ ვერკაუტერენმა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი. როგორც ცნობილია რამდენიმე თვის წინ ვერკაუტერენმა ბელგიელთა გუნდის თავკაცის თანამდებობაზე რენე ვანდერეიკენი შეცვალა. მას გუნდთან მომავალი წლის იანვრამდე უნდა ემუშავა, შემდეგ კი მოსკოვის "ზენიტის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის დიკ ადვოკაატისთვის გადაებარებინა უფლებამოსილება. ბელგიელებს, რომლებიც მუნდიალის შესარჩევ მე-5 ჯგუფში 7 ქულით მე-4 ადგილზე არიან, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის თეორიული შანსიც კი აღარა აქვთ.

ვან ნისტელროი რომისკენ იყურება

მადრიდის "რეალის" ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი შესაძლოა იტალიურ "რომაში" აღმოჩნდეს.

"თუ სათადარიგოთა სკამზე დავრჩები, მაშინ, ცხადია, ახალი კლუბის ძებნას დავიწყებ. კარიერის გასაგრძელებლად "რომა" არცთუ ცუდი ვარიანტია. ზაფხულში რომაელები ჩემს მიმართ ინტერესს უკვე იჩენდნენ, მაგრამ ტრანსფერი არ მოხერხდა," - ამბობს ვან ნისტელროი.

"სანდერლენდს" ნილი არ სჭირდება

ინგლისური "სანდერლენდი" "ვესტ ჰემის" ყოფილი მცველის ლუკას ნილის შეძენას აღარ აპირებს.

"ფეხბურთელს ჩვენთან გადმოსვლის თაობაზე ვესაუბრეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ ჩვენს მიერ შეთავაზებული და მის მიერ წამოყენებული პირობები არ შეიცვალა, აღბათ არც გამოვა", - თქვა "სანდერლენდის" მთავარმა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა.

31 წლის ავსტრალიელ ფეხბურთელს, რომელიც ახლა თავისუფალი აგენტია, ხელფასის სახით კვირაში 40 000 გირვანქის მიღება სურს, რაზეც "სანდერლენდის" ხელმძღვანელობა უარზეა.

"მილანმა" კაჩარს დაადგა თვალი

იტალიური მედიის ინფორმაციით, "მილანი" ბერლინის "ჰერტას" ნახევარმცველის გოიკო კაჩარის მიმართ იჩენს ინტერესს.

როსონერის მთავარმა მწვრთნელმა ლეონარდომ არაერთხელ განაცხადა, რომ მის გუნდს გაძლიერება ესაჭიროება, თუმცა სეზონის წინა პერიოდში მილანელებმა არცთუ შთამბეჭდავად ჩაატარეს სატრანსფერო კამპანია.

"მილანის" სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩსაც დაესწრო, რომლშიც სერბეთისა და საფრანგეთის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სამბა ბრაზილიელებისთვის დინამოს შესრულებით

ხმალაძე დინამოს რიგებში საუკეთესო იყო.

მიხეილ აბაიშვილი

"ოლიმპიური იდილია" დაირღვა: თბილისის "დინამომ", რომელიც არც თუ დამაჯერებელი სტარტის გამო ჩემპიონობის პრეტენდენტების სიიდან ლამის ჩამოწერეს, ერთპიროვნულ ლიდერს, აქამდე ქულადაუკარგავ რუსთავის "ოლიმპს" ძალზე მწარე მარცხი აგემა. გუნდს, რომელმაც გუშინდლამდე ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოიგო, კახი კაჭარავას ბიჭებმა ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს, რითაც ციდან, გნებავთ, ბრაზილიიდან მიწაზე დაშვებაში დაეხმარნენ. ბრაზილიიდან, რადგან, მოგეხსენებათ, სეზონის სტარტის წინ "ოლიმპმა" სწორედ ბრაზილიურ კლუბთან, "ატლეტიკო პარანაენსესთან" დამყარებული პარტნიორული ურთიერთობების წყალობით ექვსი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჩამოიყვანა და წინა ტურებში მიღწეულ წარმატებებში ლომის წილი სწორედ ამ ფეხბურთელებმა დაიდეს. მაგრამ იყო ერთი შეკითხვა, რაზე პასუხიც მთელს ქართულ საფეხბურთო სამყაროს ძალიან აინტერესებდა. პირველ ხუთ ტურში კალენდარმა "ოლიმპს" არცერთი ისეთი გუნდი არ არგუნა, რომლებსაც თუნდაც საპრიზო სამეულში მოხვედრის რაიმე რეალურთან მიახლოებული პრეტენზია ექნებოდა. პირველი სეროზული მეტოქე რუსთავულ კლუბს მეექვსე ტურში ელოდა და სწორედ ამ დაპირისპირებაში უნდა გამოჩენილიყო, რამდენად არის ოთარ კორღალიძის გუნდი მზად უმაღლესი მიზნისთვის საბრძოლველად. როგორც აღმოჩნდა, ეს "მზადყოფნა" მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს და მის მთავარ მწვრთნელს წინ კიდევ უდიდესი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, როგორც ტაქტიკური, ისე თამაშის ორგანიზაციის და ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. მითუმეტეს, რომ "ოლიმპისგან" განსხვავებით, "დინამო" ამ თამაშამდე სერიოზული პრობლემებით მოვიდა.

გუნდის აშკარა ლიდერი და მთავარი მამოძრავებელი ძალა - გიორგი მერებაშვილი ტრავმის გამო სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, სადაც მას გვერდს უმშვენებდა კაჭარავას გუნდის შეტევების კიდევ ერთი ლიდერი - მათე ვაწაძე, რომელსაც სიცხე ჰქონდა. "ოლიმპს" ამ თვალსაზრისით მხოლოდ სევასტი თოდუას არყოფნაზე შეეძლო დაეჩივლა, თუმცა აქტივში ალბათ, არც ის გარემოება შეიძლება ჩაითვალოს, რომ მატჩში "ოლიმპის" შემადგენლობაში ერთბაშად სამი ფეხბურთელის დებიუტი შედგა (ედუარდო, გველესიანი, აბრამიძე).

დაახლოებით თანაბარ ორთაბრძოლაში წარმართული პირველი ნახევრის შემდეგ, რომლის საწყის წუთებშიც "ოლიმპს" სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარა და კოშკაძისგან გოლი მიიღო, გამოიკვეთა მასპინძლების აშკარა სათამაშო (და არა ტერიტორიული) უპირატესობა. "დინამოს" მეტად მკაცრი სათამაშო დისციპლინა, მოედნის თითოეულ მონაკვეთზე ორთაბრძოლებში მოურიდებლად შესვლა და გაცილებით უკეთესი საბრძოლო განწყობა გადამწყვეტი ფაქტორები გამოდგა. ასე ვთვქათ, "აკადემიურ" სტილში მოთამაშე "ოლიმპის" მთავარმა დამრტყმელმა ძალამ - ბრაზილიურმა შემტევმა ტრიომ - აკინომ, ჯერონიმომ და ჟონატასმა ვერანაირი პრობლემა ვერ შეუქმნეს ბრძოლაზე დაგეშილ დინამოელებს. იყო ერთი, ორი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი, რომელთაგან სტუმრებმა რამდენადმე ღირებული შედეგი ვერ ნახეს. განსაკუთრებით თამაში არ წაუვიდა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ აკინოს და ეს იმდენად თავლსაჩინო იყო, რომ შეხვედრის მეორე ნახევრის შუაწელში კორღალიძემ იგი შეცვალა კიდეც. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ (დიღმელაშვილმა და კოშკაძემ მეორე ტაიმის სადებიუტო წუთებში გამოიჩინეს თავი) და ნათელი გახდა, რომ "ოლიმპი" მარცხს ვეღარსად გაექცეოდა. რუსთაველებს ვეღარც იმან უშველა, რომ ამ წუთებში მსაჯმა ვადაჭკორიამ უხეში თამაშისთვის "დინამოს" გაბონელი ლეგიონერი, აკირემი მოედნიდან გააძევა. პირიქით: საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე კუთხურიდან კოშკაძის ჩამოწოდების შემდეგ თავური დარტყმით გურამ კაშიამ მეოთხედ დაამწუხრა მეკარე ჭანტურია.

ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ დაპირისპირებაში "ვიტ ჯორჯიამ" "ზესტაფონს" უმასპინძლა და "მშვიდობიანად" გაეყარა. მართალია, ჩემპიონმა კვარაცხელიას გოლის წყალობით დაწინაურება მოახერხა, მაგრამ იმერლებმა ამას შედეგიანი დარტყმით უპასუხეს და ქულა გადაარჩინეს. ორივე გოლი შეხვედრის მეორე ნახევარში გავიდა.

მე-6 ტური

გაგრა - ლოკომოტივი	2:0
სიონი - ბაია	1:0
სპარტაკი - სამტრედია	2:0
დინამო - ოლიმპი	4:0
ვიტ ჯორჯია - ზესტაფონი	1:1

კოკაიმ გამარჯვებით დაიწყო

გუშინ ტოკიოში, სუმოს დარბაზ "კუკუგიკანეში" სტარტი აიღო 2009 წლის სეზონის ბოლოსწინა სუპერტურნირმა. სექტემბრის ბაშოზე უმაღლეს მაკუჩი დივიზიონში ორი ქართველი ასპარეზობს. ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) ივლისის სუპერტურნირი წარმატებულად ჩაატარა. ახლა ის აღმოსავლეთის პირველი მაიგაშირას რანგში გადის დოხიოზე. ლევან ცაგურიამ (კოკაი) კი ივლისის ბაშო ჩააგდო და ახლა მხოლოდ მეთოთხმეტე მაიგაშირას რანგში ასპარეზობს.

ტოჩინოშინისთვის ახლა მთავარია ტიტულის შენარჩუნება. იმის გამო, რომ ახალგაზრდა ქართველი პირველი მაიგაშირაა, სექტემბრის ბაშოზე მას ძლიერ სუმოისტებთან მოუწევს ჭიდილი, რაც ტურნირის პირველივე დღეს გამოჩნდა.

ტოჩინოშინს დასავლეთის ოძეკ კოტომისუკისთან მოუხდა დოხიოზე გასვლა. ქართველმა უვატენაგეს ილეთით დათმო ორთაბრძოლა.

რაც შეეხება კოკაის, მას უკანდასახევი გზა არა აქვს - სექტემბრის ბაშოზე რეიტინგის გაუმჯობესება მართებს. პირველ დღეს კოკაი დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ვაკანოსატოს შეხვდა და ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა.

დღეს კოკაის მეტოქე იქნება აღმოსავლეთის მეთხუთმეტე მაიგაშირა ფუტენო, რომელიც ბაშოს პირველ დღეს დამარცხდა. ტოჩინოშინს კი სერიოზული გამოცდა ელის. ლევან გორგაძეს თანამედროვე სუმოს ცოცხალ ლეგენდასთან - ასოშორიუსთან მოუწევს ჭიდილი. დიდი ჩემპიონი სექტემბრის ბაშოს ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია იოკოძუნა ჰაკუჰოსთან ერთად. სუპერტურნირის პირველ დღეს ორივე იოკოძუნამ გაიმარჯვა. დღევანდელ დღეს სწორედ ასოშორიუსა და ტოჩინოშინის ბრძოლა დახურავს.

ზიკო ბრაზილიაში დაბრუნდა

მოსკოვის ცსკას მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვების შემდეგ ბრაზილიელი ზიკო სამშობლოში დაბრუნდა და ალბათ კარიერასაც იქ გააგრძელებს. თეთრ პელედ შერაცხულ ზიკოს "ფლამენგო" იწვევს. ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა მარსიო ბრაგამ განაცხადა, რომ ზიკოსთან მოლაპარაკების გამართვას აპირებს და მას კოორდინატორის პოსტს შესთავაზებს.

კარელომ მუნდიალის ფინალი დაგეგმა

ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიის ნაკრებთან შეხვედრაზე ოცნებობს. "ყოველთვის ვამბობდი, რომ ინგლისის ნაკრებს კარგი შემადგენლობა ჰყავს. პრობლემა ის იყო, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებლობის შემდეგ ფეხბურთელებმა საკუთარი ძალების რწმენა დაკარგეს. ახლა მათ თავდაჯერება დაუბრუნდათ და შეგვიძლია მსოფლიოს ნებისმიერ ნაკრებს თანაბრად ვეთამაშოთ. მინდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიას შევხვდე, სასურველია ტურნირის ფინალში," - განაცხადა კაპელომ.

მაევსკიმ პოლონეთის ნაკრები ჩაიბარა

მას შემდეგ, რაც ლეო ბეენჰაკერმა პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, გუნდის დროებით მთავარ მწვრთნელად სტეფან მაევსკი დაინიშნა. პოლონური პრესის ინფორმაციით, მაევსკის დანიშვნის ფაქტი მომავალ ოთხშაბათს ოფიციალურად დადასტურდება, მაგრამ სლოვენიასთან მარცხის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი გჟეგოჟ ლატო სწორედ მის კანდიდატურას უჭერს მხარს. აქამდე მაევსკი პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა.

ვიდუკამ ავსტრალიას მიაშურა

33 წლის ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა ბრიტანული კლუბის ღირსებას იცავდა, სამშობლოში ბრუნდება, სადაც, სავარაუდოდ, დაასრულებს კიდეც კარიერას. ამის შესახებ გუშინ მისმა პირადმა აგენტმა სტივ კარტერმა ოფიციალურად განაცხადა. განვლილი სეზონის დასრულების შემდეგ, როცა ვიდუკამ "ნიუკასლი" დატოვა, მის სამომავლო გეგმებზე ათასგვარი ინფორმაცია გავრცელდა - ის ჯერ "პორტსმუთთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას, შემდეგ "ფულემში" გაიარა სამედიცინო შემოწმება, საუბრობდნენ ავსტრალიელის "სელტიკში" სავარაუდო დაბრუნებაზეც... გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას კი ცოტა ვინმე თუ ელოდა.

"მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მარკი არც რომელიმე ინგლისურ კლუბთან ცდილობს კონტრაქტის გაფორმებას და არც სხვა ევროპულ ქვეყანაში სურს მოწყობა. ის ავსტრალიაში ბრუნდება. ვიდუკას ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება აქვს ჩაფიქრებული. თუმცა, ჯერ არ ვიცი, გააგრძელებს თუ არა ის საფეხბურთო კარიერას", - განაცხადა სტივ კარტერმა.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 20 აგვისტოს 02-1522 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 20 აგვისტოს 02-1522 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 21 სექტემბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 5 ოქტომბერი; კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2009 წლის 6 ნოემბერს.

რექტორი გიგი თევზაძე

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 2 სექტემბრის 02-1645 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 2 სექტემბრის 02-1645 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 2 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 16 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 16 ნოემბერს;"

გ) ამოღებულ იქნას ბრძანების მე-8 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ კონკურსის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 16 ნოემბრიდან;"

რექტორი გიგი თევზაძე

იყიდება თბომავალი ТГК2-1, 1990 წლის გამოშვება, ტვირთამწეობა 700-800 ტონა, ნამუშევარი საათების რაოდენობა 1500, გარბენი 6500კმ, ტელ: 899 76 55 01, 8268 4 53 28 ჯუმბერი

იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა", ლიცენზირებული კარიერით 80 000 კბ. მ-ზე ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
897 56 20 60

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 4 სექტემბრის 02-1665 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 4 სექტემბრის 02-1665 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 5 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 20 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 20 ნოემბერს;"

გ) ამოღებულ იქნას ბრძანების მე-8 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ კონკურსის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 16 ნოემბრიდან; ხოლო ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - 2009 წლის 22 ნოემბრიდან; ატმოსფერო-იონოსფეროს ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულ კანდიდატს- 2009 წლის 11 დეკემბრიდან;

რექტორი გიგი თევზაძე

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 2 სექტემბრის 02-1644 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 2 სექტემბრის 02-1644 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს განათლების ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 2 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 16 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 16 ნოემბერს;"

გ) ამოღებულ იქნას ბრძანების მე-8 პუნქტის "ა' და "გ" ქვეპუნქტი, ხოლო "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კერძო მეთოდიკების მიმართულებით გამარჯვებული 5 კანდიდატიდან ორს შრომის ხელშეკრულება გაუფორმდება 2009 წლის 4 დეკემბრიდან, ხოლო ერთს- 2010 წლის 5 იანვრიდან; ყველა დანარჩენ შემთხვევაში კონკურსის დასრულებისთანავე-2009 წლის 16 ნოემბრიდან."

რექტორი გიგი თევზაძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 16 ივლისს კომუნალური მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერზე (II ლოტი - მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა) გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს "თავწყარო" და 2009 წლის 13 აგვისტოს გაუფორმდა ხელშეკრულება. 2009 წლის 12 აგვისტოს ქ. გურჯაანში ვ გამოცხადებულ ტენდერზე - ქუჩების დაგვა-დასუფთავების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ქ. გურჯაანის კომუნალური სერვისი" და 2009 წლის 8 სექტემბერს გაუფორმდა ხელშეკრულება.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 8 სექტემბრის 02-1690 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 8 სექტემბრის 02-1690 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 8 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 22 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 24 ნოემბერს;"

გ) ამოღებულ იქნას ბრძანების მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტები და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ კონკურსის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 24 ნოემბრიდან;"

რექტორი გიგი თევზაძე

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის მეცნიერების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 3 სექტემბრის 02-1656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის მეცნიერების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 3 სექტემბრის 02-1656 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს სპორტის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 5 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 19 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 20 ნოემბერს;"

გ) შეიცვალოს ბრძანების მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ კონკურსის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 20 ნოემბრიდან;"

რექტორი გიგი თევზაძე

უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამები

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს მიღებას უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამებზე.

პროფესიული სერტიფიცირება

უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული სერტიფიცირების მიზანია უძრავი ქონების ბაზრის კვალიფიციური სპეციალისტებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პროფესიული სერტიფიკაციის ორგანო დღეისათვის საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული ორგანიზაციაა, რომელიც პერსონალის სერტიფიკაციას საერთაშორისო სტანდარტის - ISO/IEK 17024:2008 შესაბამისად ახორციელებს. ასოციაციას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს ბანკების ასოციაციასა და საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომლის მიხედვითაც დასტურდება ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისობა ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.

სერტიფიცირება ორეტაპიანია და მოიცავს ტესტირებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ეტაპებს. სერტიფიცირების მსურველნი პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სერტიფიკატს.

სერტიფიცირების საფასური შეადგენს 295 ლარს (დღგ-ს გარეშე).

სერტიფიცირების მსურველ პირებს შეუძლიათ გაიარონ პროფესიული მომზადების კურსი.

პროფესიული მომზადება

ასოციაციის პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას მისცემს მსმენელებს, მიიღონ თეორიული ცოდნა უძრავი ქონების შეფასების საკითხებში და გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მოემზადონ სერტიფიცირებისათვის და დაეუფლონ შემფასებლის პროფესიას. სწავლების პერიოდში გამოყენებული იქნება ინტერაქტიული ლექციები, პრაქტიკული სავარჯიშოები და კონკრეტული სიტუაციების ანალიზი.

პროგრამა განკუთვნილია:

- უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული და ამ სფეროში საქმიანობის დამწყები პირებისათვის.
- საბანკო-საფინანსო, საარბიტრაჟო, სამშენებლო, დეველოპერული, სადაზღვევო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის.
- უძრავი ქონების სააგენტოების, საბროკერო კომპანიების თანამშრომელთათვის.
- აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების კომპანიების თანამშრომელთათვის.
- სახელმწიფო ქონების შეფასებით დაინტერესებულ პირთათვის.
- ყველასთვის, ვისაც სურს დაეუფლოს უძრავი ქონების შემფასებლის პროფესიას.

პროგრამის საფასური შეადგენს 990 ლარს (დღგ-ს გარეშე).

პროგრამის ხანგრძლივობა: სწავლება გრძელდება 3 თვის განმავლობაში.

სერტიფიცირებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (პროფესიული მომზადების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.aplr.org სერტიფიცირების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.certification.org.ge) და წარუდგინონ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

APLR პროფესიული სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიცირების ცენტრი
თბილისი 0102
წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქუჩა N1, 1-ლი სართული
ელ.ფოსტა: certification@aplr.org
საკონტაქტო პირი: ნათია მახარობლიძე
ელ.ფოსტა: natia@aplr.org
ტელ: (822) 10 62 72; 899 219 199

უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის ავტორიზებულ მომხმარებელთა პროფესიული სერტიფიცირება და მომზადება

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს მიღებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული სარეგისტრაციო პროგრამის (NAPRWEB) მომხმარებელთა პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების პროგრამებზე.

პროფესიული სერტიფიცირება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული სარეგისტრაციო პროგრამის (NAPRWEB) მომხმარებელთა პროფესიული სერტიფიცირების მიზანია უძრავი ქონების ბაზრის კვალიფიციური სპეციალისტებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა. სერტიფიცირების (ტესტირების) წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც პროფესიული თვითდამკვიდრების რეალური შანსია უძრავი ქონების სფეროში დასაქმებულ პირთათვის. სერტიფიცირების შედეგად ავტორიზებულ მომხმარებლებს ენიჭებათ ინდივიდუალური უფლება ინტერნეტით მიიღონ საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაცია და ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულ ქალაქებსა და რაიონებში დისტანციურად მოახდინონ სარეგისტრაციო განცხადებებისა და ქონებრივი უფლებების რეგისტრაცია.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პროფესიული სერტიფიკაციის ორგანო დღეისათვის საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული ორგანიზაციაა, რომელიც პერსონალის სერტიფიკაციას საერთაშორისო სტანდარტის - ISO/IEK 17024:2008 შესაბამისად ახორციელებს. ასოციაციას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომლის მიხედვითაც დასტურდება ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისობა ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.

სერტიფიცირების საფასური შეადგენს 59 ლარს.

სერტიფიცირების მსურველ პირებს შეუძლიათ გაიარონ პროფესიული მომზადების კურსი.

პროფესიული მომზადება

ასოციაციის მაღალკვალიფიციური ტრენერები უზრუნველყოფენ რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის მოხმარებისა და შესაბამისი სამართლებრივი საკითხების სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს მსმენელებს, მიიღონ ავტორიზებული მომხმარებლისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოიმუშავონ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მოემზადონ სერტიფიცირებისთვის.

პროგრამა განკუთვნილია:

- უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული და ამ სფეროში საქმიანობის დამწყები პირებისათვის.
- ბანკების, ნოტარიუსების, ბროკერების, უძრავი ქონების სააგენტოების თანამშრომელთათვის.
- ყველასთვის, ვისაც სურს გახდეს საჯარო რეესტრის რეგისტრაციის ელ. პროგრამის მომხმარებელი.

პროფესიული მომზადების პროგრამის საფასური შეადგენს 250 ლარს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 დღეს.

სერტიფიცირებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (პროფესიული მომზადების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.aplr.org სერტიფიცირების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.certification.org.ge) და წარუდგინონ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

APLR პროფესიული სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიცირების ცენტრი
თბილისი 0102
წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქუჩა N1, 1-ლი სართული
ელ.ფოსტა: certification@aplr.org
საკონტაქტო პირი: ნათია მახარობლიძე
ელ.ფოსტა: natia@aplr.org
ტელ: (822) 10 62 72; 899 219 199

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 7 სექტემბრის 02-1675 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 7 სექტემბრის 02-1675 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში, სამუშაო დღეებსა და საათებში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 7 ოქტომბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 22 ოქტომბერი;

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 24 ნოემბერს;"

გ) ამოღებულ იქნას ბრძანების მე-8 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად ჩაითვლებიან და შრომის ხელშეკრულება გაუფორმდებათ კონკურსის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 24 ნოემბრიდან;"

რექტორი გიგი თევზაძე

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 20 აგვისტოს 02-1521 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2009 წლის 20 აგვისტოს 02-1521 ბრძანებაში კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბუთების მიღება იწარმოებს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 21 სექტემბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 5 ოქტომბერი; კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2009 წლის 6 ნოემბერს.

რექტორი გიგი თევზაძე

უძრავი ქონების ამგეგმავთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამა

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს მიღებას უძრავი ქონების ამზომველთა/ამგეგმავთა პროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამებზე.

პროფესიული სერტიფიცირება

უძრავი ქონების ამზომველთა/ამგეგმავთა პროფესიული სერტიფიცირების მიზანია უძრავი ქონების ბაზრის კვალიფიციური სპეციალისტებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პროფესიული სერტიფიკაციის ორგანო დღეისათვის საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული ორგანიზაციაა, რომელიც პერსონალის სერტიფიკაციას საერთაშორისო სტანდარტის - ISO/IEK 17024:2008 შესაბამისად ახორციელებს. ასოციაციას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომლის მიხედვითაც დასტურდება ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისობა ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.

სერტიფიცირება ორეტაპიანია და მოიცავს ტესტირებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ეტაპებს. სერტიფიცირების მსურველნი პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სერტიფიკატს. სერტიფიცირებული პირებისა და მათთან ასოცირებული კომპანიების შესახებ ინფორმაცია განთავსდება საჯარო რეესტრის რეგიონულ ოფისებში და ვებგვერდზე.

სერტიფიცირების საფასური შეადგენს 295 ლარს (დღგ-ის გარეშე).

სერტიფიცირების მსურველ პირებს შეუძლიათ გაიარონ პროფესიული მომზადების კურსი.

პროფესიული მომზადება

უძრავი ქონების ამზომველთა/ამგეგმავთა პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას მისცემს მსმენლებს, მიიღონ თეორიული ცოდნა საკადასტრო აზომვებში და გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მოემზადონ სერტიფიცირებისათვის და დაეუფლონ საკადასტრო ამზომველის პროფესიას. პროგრამას წარმართავენ უძრავი ქონების სფეროს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტები და ექსპერტები. სწავლების პერიოდში გამოყენებული იქნება ინტერაქტიული ლექციები, საველე-პრაქტიკული სწავლება და პრაქტიკული მეცადინეობები საველე ინფორმაციის დამუშავების და პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებში.

პროგრამა განკუთვნილია:

- უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული და ამ სფეროში საქმიანობის დამწყები პირებისათვის.
- უძრავი ქონების სააგენტოების, საამზომველო კომპანიების თანამშრომელთათვის.
- ყველასთვის, ვისაც სურს დაეუფლოს უძრავი ქონების ამზომველის პროფესიას.

პროფესიული მომზადების პროგრამის საფასური შეადგენს 690 ლარს (დღგ-ის გარეშე).

პროგრამის ხანგრძლივობა: სწავლება გრძელდება 1 თვის განმავლობაში.

სერტიფიცირებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (პროფესიული მომზადების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.aplr.org სერტიფიცირების განაცხადის ფორმა იხილეთ: www.certification.org.ge) და წარუდგინონ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
APLR პროფესიული სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიცირების ცენტრი
თბილისი 0102
წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქუჩა N1, 1-ლი სართული
ელ.ფოსტა: certification@aplr.org
საკონტაქტო პირი: ნათია მახარობლიძე
ელ.ფოსტა: natia@aplr.org
ტელ: (822) 10 62 72; 899 219 199

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია **"ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო"** (ნლს) "გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარის" დაფინანსებით ახორციელებს დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას ქალაქ ქუთაისში. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია აცხადებს ღია ტენდერს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სამუშაოები განხორციელდება 3 კოლექტიურ ცენტრში და ითვალისწინებს ფასადისა და შიგა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას

ორგანიზაცია, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, ვალდებულია წარმოადგინოს სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტში და დოკუმენტები რომლებიც ადასტურებენ მის კვალიფიციურობას.

სატენდერო დოკუმენტაციისა და მოთხოვნილი დოკუმენტების ჩამონათვალის მიღება შესაძლებელი იქნება ნლს-ის ოფისებში 2009 წლის 11 სექტემბრის 10 საათიდან 15 სექტემბრის 17 საათამდე. მისამართებზე:

ქ. ქუთაისი, დავითაშვილის მე-2 შესახვევი N 4.
ქ. თბილისი: თაბუკაშვილის 19 ა.

2009 წლის 16 სექტემბერს ნლს-ის ინჟინრების მიერ ორგანიზებული იქნება სავალდებულო საველე ვიზიტები ობიექტებზე კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად.

სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 21 სექტემბრის 17 საათი.
საკონტაქტო ტელეფონი: 8(231) 77971

ცვლილება
განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 11 სექტემბერს "ქ. ვანში სახანძრო დაცვის შენობის საამშენებლო სამუშაოები"-ს სახელმწიფო შესასყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ცალკეულ პუნქტებში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (დედანი და ასლი) მოთავსებული ორ დალუქულ პაკეტში 2009 წლის 02 ოქტომბერის 1000 საათიდან 2009 წლის 02 ოქტომბრის 15.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველები ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებენ 2009 წლის 12 სექტემბრის 12.00 საათიდან 2009 წლის 02 ოქტომბრის 15.00 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. მისამართზე: ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, მუნიციპალური გამგეობა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი.

პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 02 ოქტომბერს 16.00 სთ-ზე შემდეგ მისამართზე, ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65, მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისია.

სატენდერო კომისია

შპს „საქართველოს რკინიგზის" განცხადება
თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის თაობაზე

შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა" გეგმავს განახორციელოს "თბილისის შემოვლითი რკინიგზის" პროექტი, რომლის მიზანია თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლა თბილისის ზღვის ჩრდილოეთით ახალი სარკინიგზო ტრასის საშუალებით. პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქის განტვირთვას და განვითარებას.

პროექტის განხორციელებისათვის "საქართველოს რკინიგზას" მიიღებს დაფინანსებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (EIB).

ამჟამად მიმდინარე საინჟინრო საპროექტო სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო გეოლოგიური შესწავლა სავარაუდო ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე 500 მეტრის ფარგლებში. ახალი რკინიგზის **ზუსტი მარშუტი** დადგინდება ა.წ. ოქტომბრის ბოლოს, როდესაც დასრულდება საბოლოო საინჟინრო პროექტის შემუშავება. პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთების მიხედვით ახალი სარკინიგზო ტრასის მშენებლობის ვადა **3 წელია.** მშენებლობა დაიწყება 2010 წლის პირველ კვარტალში. გათვალისწინებულია მშენებლობისას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია კერძო საკუთრებების მაქსიმალურად არიდება და შესაბამისად საბოლოო პროექტის მიღებისას მოსალოდნელია რომ განსახლების საჭიროება არ იქნება ან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

კერძო საკუთრებაზე შეხების შემთხვევაში მფლობელი მიიღებს კომპენსაციას. პროექტის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტანდარტებით შემუშავდება სპეციალური პროგრამა, რის შედეგადაც,უახლოეს პერიოდში მოხდება ადრეული შეტყობინება და კონსულტაციები მოსახლეობასთან, მოლაპარაკებები კომპენსაციებზე საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ მოსახლეობა ჩართული იყოს აღნიშნულ პროექტში, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზამ" დაამონტაჟა საინფორმაციო ყუთები, სადაც ხელმისაწვდომია შემოთავაზებების და წინადადებების ფორმები და პროექტის საინფორმაციო ბროშურა. საინფორმაციო ყუთები განლაგებულია: თბილისის ისან-სამგორის, გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის და მცხეთის გამგეობის შენობებში, აგრეთვე საქართველოს რკინიგზის მთავარ ოფისში.

თქვენი ჩართულობა აღნიშნული პროექტის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია. გთხოვთ, თქვენი კომენტარები და შენიშვნები გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"
სტრატეგიული პროექტებისა და განვითარების დეპარტამენტი
15, თამარ მეფის გამზირი, 0112, თბილისი, საქართველო ცხელი ხაზი: **56 54 90** ფაქსი: 56 48 57

---

10 სექტემბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გია გუმბერიძესა და ჯანსუღ კუბლაშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **4 901.08** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 სექტემბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გია გუმბერიძე, მცხ: ქ.თბილისი, მირცხულავას ქ.N10, ბინა N3; ფაქ. მის: ქ.თბილისი, გორკის ქ.N8 და ჯანსუღ კუბლაშვილი, მცხ: ქ.ქუთაისი, ჩოდრიშვილის ქ.N39.

საქართველო

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქალაქ თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ARCHITECTURE SERVICE OF TBILISI

Legal Entity
of Public law of Tbilisi City Hall

ბრძანება № 2772 "11" 09 „2009 წ.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ კონკურსის - „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის" – განხოციელების უზრუნველყოფის მიზნით კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტების და „კონკურსის -„ქ. თბილისის საუკეთესო ინდივიდუალურიო საცხოვრებელი სახლის პროექტი"- ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 31 აგვისტოს №23.05.778 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი – „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის" საერთო ფართით 100 კვმ-დან - 250 კვმ-მდე ერთბინიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე.

2. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ კონკურსის - „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის" – განხოციელების უზრუნველყოფის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო პირობები დანართის შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის მერიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)

სამსახურის უფროსი **მიხეილ ავალიანი**

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის კონკურსის – "ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის" – ჩატარების წესი და საკონკურსო პირობები

I. ზოგადი ნაწილი

1. კონკურსის მიზანია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, დედაქალაქის ერთიანი იერსახის ჩამოყალიბებას და მშენებლობის ნებართვის პროცედურის გამარტივებას.
2. კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს საუკეთესო ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტები, შემდგომში დაინტერესებულ პირებზე უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.
3. კონკურსის მომწყობია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, ტელ: 72 22 22, ელ. მისამართი architect@tbilisi.gov.ge.
4. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება წინამდებარე ბრძანების ვებ. გვერდზე www.Tbilisi.gov.ge/architect და გაზეთ „24 საათი"-ში გამოქვეყნების დღე.
5. კონკურსი ფინანსდება კონკურსის მომწყობის (ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის) მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან, დანართი №1 შესაბამისად.
6. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენა განხორციელდება ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმით დანართი №2-ის შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ. გვერდზე – www. Tbilisi.gov.ge/architect;
7. კონკურსში გამარჯვებულს გაუფორმდება არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულება;
8. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს;
9. კონკურსის ჩატარების ადგილია ქალაქი თბილისი;
10. კონკურსში გამარჯვებული პროექტების გავრცელების და განხორციელების არეალია ქ. თბილისი, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონისა;

II საკონკურსო პირობები

1. საკონკურსო ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი უნდა მომზადდეს კონკურსის მომწყობის მიერ ვებ. გვერდზე www.Tbilisi.gov.ge/architect გამოქვეყნებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ნიმუშის შესაბამისად.
2. განაცხადს დანართის სახით უნდა დაერთოს არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია შემდეგი შემადგენლობითა და თანმიმდევრობით:
ა. ყდა, მითითებული პროექტის სახელწოდებით, ფოტორენდერით, საპროექტო ორგანიზაციის დასახელებით და შესაბამისი რეკვიზიტებით.
ბ. სატიტულო ფურცელი. (ხელმოწერებით და ბეჭდით)
გ. განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს: პირობითი საპროექტო ტერიტორიის დახასიათება. პროექტის დახასიათება არქიტექტურულ-გეგმარებითი თვალსაზრისით გამოკვეთილი ორიგინალური გადაწყვეტის არსით. გადახურვისა და გარე მოსაპირკეთებელი, ასევე კარ-ფანჯრებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება. შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტება და სხვა ინფორმაცია ავტორის მოსაზრებით.
დ. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ფართი -------- მ²
მოშენების ფართი -------- მ²
საერთო ფართი -------- მ²
მათ შორის:
* საცხოფრებელი ფართი -------- მ²
* დამხმარე ფართი -------- მ²
* სარდაფის ფართი -------- მ²
* მანსარდის ფართი -------- მ²
* საზაფხულო ფართი -------- მ²
* დამხმარე ნაგებობის ფართი -------- მ²
* ავტოფარეხის ფართი -------- მ²
* ---------- -------- მ²

სამშენებლო მოცულობა -------- მ³
მათ შორის:
0.00-ის ზევით -------- მ³
0.00-ის ქვევით -------- მ³
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი -------- მ²
სამშენებლო ფართი -------- მ²

ე. არქიტექტურული პროექტი:

სიტუაციური გეგმა მ 1:200 ან აეროფოტოგადაღება მონიშნული საპროექტო ტერიტორიით.

გენგეგმა მომზადებული მ 1:500-იან ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ეზოს კეთილმოწყობის, წითელი და შავი ნიშნულებისა და ჩრდილოეთის ჩვენებით.
საძირკვლის (დაკვალვის) გეგმა მ 1:100
სარდაფის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
I–სართულის გეგმა მ 1:100
II–სართულის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
მანსარდის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
სახურავის გეგმა მ 1:100
გრძივი და განივი ჭრილები მ 1:100 არსებობის შემთხვევაში–ღობის სიმაღლის ჩვენებით
შენობის ყველა ფასადები მ 1:100 (გრაფიკული და ფერადი)
კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია.
აქსონომეტრიული ხედები
ღობისა და ეზოში შესასვლელი კარის (ჭიშკრის) გეგმა, ჭრილი ფასადი სიმაღლის, სიგანის და საერთო სიგრძის მითითებით. (არსებობის შემთხვევაში)
დამხმარე ნაგებობებისა და აუზის შემთხვევაში შესაბამისი ნახაზები; გეგმა, ჭრილი, ფასადი.
ძირითადი სამშენებლო მასალების მოცულობების სპეციფიკაცია.
მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი და რენდერები (გამოტანილი ხაზით მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით).

3. ყველა გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები. გენგეგმაზე და გეგმებზე დატანილი უნდა იყოს ექსპლიკაცია, შენიშვნები და პირობითი აღნიშვნები. ფასადებზე გამოტანილი ხაზით მითითებული უნდა იყოს მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი.
4. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია სრული შემადგენლობით დაარქივებული ArchiCAD–ის ან AutoCAD–ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით;
5. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი კოლაჟის სახით, შესრულებული ერთ A2 ფორმატზე, დაბეჭდილი მაღალი ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები, მცირე ტექსტური ნაწილი) გამოფენისთვის.

